# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 25 ნოემბერი, 2011 წელი.

№222 (6853)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## ნეტარპრეზიდენტის ოინები

6



## მალე კახეთის დიდი „აღმშენებლობა“ დაიწყება

## ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს განცხადება

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოში შემოდის ინფორმაცია გაურკვეველი პირების მიერ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობის შესახებ. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით ხელმოწერების სანაცვლოდ არიგებენ თანხებს და იძლევიან სხვადასხვა დაპირებას.

ამგვარი ქმედებები მიზნად ისახავს ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციას, მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას და ამ ფონზე ეცდებიან პროვოკაციების მოწყობას.

ბიძინა ივანიშვილი მადლობელია ყველა იმ მოქალაქის, ვინც უანგაროდ, მოქალაქეობრივი სოლიდარობის გრძნობით მიიღო მონაწილეობა დამოუკიდებელი საინიციატივო ჯგუფების მიერ ორგანიზებული ხელმოწერების შეგროვებაში .

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ხელისუფლების მიერ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის შემდგომი მცდელობები, გვინდა ვთხოვოთ საზოგადოებას — მსგავსი ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში, მოგვმართონ ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს შემდეგი ტელეფონის ნომრებით: 2 920993; 2 920973.

### ვალერიან გორგილაძე:



## ქართულ საზოგადოებაში მესამე — დამაბალანსებელი ძალის მოთხოვნა გაჩნდა

3

### ნინო ბურჯანაძე:



## ყველა ფასეულობა ფეხქვეშ გაითელა!

## რუსეთი კიდევ ერთ ომს მოგვახვევს თავს?

4

საქართველომ ევრაზიულ კავშირში „კეთილმეზობლური“ შეთავაზებისგან თავდაცვის მექანიზმზე უნდა იფიქროს

### უკრაინა და საქართველო:

## რევოლუციის ასეთი სხვადასხვაგვარი ბედი

8

## იქნებ უფრო გასაგებად „მოგვითარგმნოთ“, პრეზიდენტო?

2

„პლანეტა ფორტესა“ და „მაცნეს“ ჯიხურების ასაღებად 2-დღიანი ვადა მისცეს

## რა აქვს დასაწუნი ორთვალა სექს-სიმბოლოს?

5

### გურამ მინაშვილი - 75

10



## დღესაც კალათბურთით ცოცხლობს

ლოთის მესმის, მაგრამ...

# იქნებ უფრო გასაგებად „მოგვითარგმნოთ“, პრეზიდენტო?

**სხვაგვარად რა ვქნათ „უბირებმა“, ვისაც არც აქამდე გვესმოდა და ვერც ახლა, თქვენი განმარტების მიუხედავადაც, ვერ გავიგეთ ვერაფერი?**

**საქართველოს პოლიტიკური ადმინისტრაციის ცენტრად და ქვეყნის მეორე დედაქალაქად ქუთაისის გადაქცევასთან დაკავშირებით ახლახან პრეზიდენტის განმარტების „მოთარგმნის“ თაობაზე მოგახსენებთ, პატივცემულო მკითხველებო. თუმცა ყველა თქვენგანს კი არ ვგულისხმობ (თუნდაც ნაცმოძრაობელთა ფანებსა და გულმხურვლე მხარდამჭერებს), არამედ, ძირითადად, ჩემნაირ „ჩამორჩენილებსა და უბირებს“, ვისაც ვერანაირი განმარტების მიუხედავად მაინც ვერაფრით გაგვიგია, რა განსაკუთრებული საჭიროების გამო იხარჯება ამდენი ფული ამისთვის, როდესაც ქვეყანასაც და ხალხსაც უამრავი რეალური პრობლემა აწუხებს?**



აი, გაზეთ „24 საათიდან“ (23.XI. №266ძ ალებული პრეზიდენტის ზემოხსენებული განმარტებაც:

**„ვისაც არ ესმის, რატომ გადმოგვაქვს ჩვენ ქუთაისში პარლამენტი, ის ეწინააღმდეგება საქართველოს გაერთიანებას, საქართველოს განვითარებას, საქართველოს ევროპული არჩევანის და, საერთოდ, საქართველოს მომავლის ლოგიკას და არა აქვს გააზრებული ქუთაისის მნიშვნელობა ერთიანი საქართველოსთვის“.**

**ღმერთი, რჯული, ხატი... არა ვარ საქართველოს გაერთიანების, საქართველოს განვითარების და, საქართველოს ევროპული არჩევანის წინააღმდეგი!**

**პირიქით, რომ იტყვიან, ორივე ხელით ვუჭერ ამას მხარს და ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში არც არაფერს დავიშურებ ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად.**

**და კიდევ, თქვენ წარმოიდგინეთ, უბრალოდ გააზრებული კი არა, კარგადაც მაქვს გააზრებული ერთიანი საქართველოსთვის არა მარტო ქუთაისის, არამედ ვთქვათ, ბათუმის, თელავის და, თუნდაც ჩემი მშობლიური პატარა აბაშის მნიშვნელობაც, მაგრამ, მომკალით და ვერაფრით დავუკავშირე ყოველივე ზემოჩამოთვლილი, ანუ, ისევ გავიმეორებ, საქართველოს განვითარება, გაერთიანება, მისი ევროპული არჩევანი და მომავლის ლოგიკა პარლამენტის ქუთაისში გადატანას.**

**უფრო სწორად, ვერც პრეზიდენტის ამ განმარტებამ განმიმარტა რამე — რა ვქნა, ულოგიკო ლოგიკისა არაფერი მესმის და!**

თუმცა ულოგიკო ლოგიკასაც გააჩნია.

მაგალითად, კარგად მესმის ერთი ლოთის ამგვარი, ერთი შეხედვით, თითქოს ალოგიკური, მაგრამ, სინამდვილეში, კარგად გასაგები და საკმაოდ ლოგიკური ნაბჟუტურევი: **„რაც მეტს ვსვამ, მით მეტად მიკანკალებს ხელი. რაც მეტად მიკანკალებს ხელი, მით მეტი ღვინო მეღვრება ჭიქიდან, რაც მეტი ღვინო მეღვრება ჭიქიდან, მით ნაკლებს ვსვამ“.**

და ბოლოს, ყოველივე ამის დასკვნა-მორალი: **„რაც მეტს ვსვამ, მით ნაკლებს ვსვამ“.**

წამოიბჟუტურა ეს იმ ლოთმა და ჩემთვის სრულიად გასაგები გახდა მისი ალოგიკურობის ლოგიკა.

**აი, ჩვენი პრეზიდენტის ციტირებულმა განმარტებამ კი მაინც ვერაფერი გამაგებინა, უწინარესად იმაში ვერ დამარწმუნა, რატომ არ შეიძლებოდა ნებისმიერი ნორმალური ქართველისთვის საოცნებო-სანუკვარი მიზნის — საქართველოს განვითარება, გაერთიანება და ევროპული არჩევანი — ხორცშესხმა თბილისიდან პარლამენტისა და მთავრობის გადატანისთვის საჭირო ძალიან დიდი (ჩვენი მდგომარეობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ცხადია) და გაუმართლებელი დანახარჯების გაუღებლად?**

**ამიტომაც მოკრძალებული თხოვნით მოგმართავთ თქვენ, ნაცმოძრაობელთა ფანებსა და გულმხურვალე მხარდამჭერებს (აბა რა ვქნა, პრეზიდენტი, მისივე სიტყვებით, ქართულ პრესას არ კითხულობს და ამ ჩემს ნაწერსაც, ალბათ, ვერ გაეცნობა), თუ თქვენ მაინც გაიგეთ რამე პრეზიდენტის ხსენებული განმარტებიდან, იქნებ ჩვენც, უბირებსაც, „მოგვითარგმნოთ“?**



და ბოლოს, უთუოდ გეხსომებათ ერთი სიმღერა — „ქარის მესმის, მაგრამ ქალებს ვერ გავუგე ვერაფერი“...

**ამის ანალოგიით — „ლოთის მესმის, მაგრამ მიშას ვერ გავუგე ვერაფერი“...**

**ღმერთო, შენ გვიშველე!**

**რუსლან რუსია**

**P. S. და, რაც მთავარია: ჭეშმარიტად უდიდესმა ქართველმა მეფემ, მართლაც აღმაშენებელმა და მანამდე დაქუცმაცებული ქვეყნის გამაერთიანებელ-გამძლიერებელმა დავით მეოთხე ბაგრატიონმა, რომლის საფლავზეც დადო ფიცი მიხეილ სააკაშვილმა, ლამის მთელი ცხოვრება იმისთვის სამზადისს შეალია, რომ საქართველოს დედაქალაქი რიონის სანახებიდან — ქუთაისიდან — როგორმე ისევ თბილისში გადმოეტანა და...**

**რაო, ჩვენი დღევანდელი „აღმაშენებელი“ იმ მართლაც აღმაშენებლის „შეცდომის გამოსწორებას“ აპირებს?**

**ღმერთო, მართლაც გვიშველე!**

**რ. რ.**

რისთვის დაიხარჯება თანხა?

# თავდაცვის 45 მლნ ლარით გაზრდილი ბიუჯეტი ქვეყნის თავდაცვას, სავარაუდოდ, არ მოხმარდება

**წლის ბოლოს თავდაცვის 45 მლნ ლარით გაზრდილი ბიუჯეტი ქვეყნის თავდაცვას სავარაუდოდ, არ მოხმარდება.**

**როგორც „პირველს“ ახალაიას უწყებიდან სანდო წყარომ აცნობა, ამ ეტაპზე თავდაცვის სამინისტროში არ იგეგმება რაიმე სახის იმდენად მსხვილი პროექტის განხორციელება, რომელზეც შეიძლება, 45 მლნ დაიხარჯოს.**

„თვენახევარში წელი მთავრდება და ბიუჯეტის ასეთი ზრდა ცოტა უცნაურია. წლის ბოლოა და სავარაუდოდ, თავდაცვის მაღალი ეშელონები საახალწლოდ პრემიებს დაირიგებენ, თორემ რიგით თანამშრომლებს პრემიებით ძალიან იშვიათად, პრაქტიკულად არ „ანებივრებენ“. ასევე კარგა ხანია, არ შეუძენიათ მანქანები, რაზეც ბოლო პერიოდში საუბრობდნენ და შესაძლოა, რამდენიმე ათეული ამ ფულით შეიძინონ, თუმცა ბუნებრივია, ამ ყველაფერს 45 მლნ ლარი მაინც არ სჭირდება. ამდენად, არაა გამორიცხული, ამ თანხის თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფა მხოლოდ ფარსი იყოს და რეალურად ეს სახსრები სულ სხვა რამეს ან ვინმეს მოხმარდეს, რადგან ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, თავდაცვის ბიუჯეტის მიზნობრიობა საზოგადოებისთვის დეტალებში არასდროსაა ცნობილი“, — განუცხადა „პირველს“ წყარომ.

ერთ-ერთი ვერსიით, თანხა, რომელიც თავდაცვის ბიუჯეტს ემატება, შესაძლოა, ნებაყოფლობით 5-დღიან რეზერვს მოხმარებოდა, თუმცა ის ჯერ არ დაწყებულა და საქართველოს არც ერთ მოქალაქეს არ გაუვლია. ახალაიას უწყებაში რეზერვის დაწყების თარიღს არ აკონკრეტებენ.

წყაროს ცნობით, აღნიშნული რეზერვის გავლის შემდეგ თითოეულ მოქალაქეს ინდივიდუალური ნომერი მიენიჭება და მასზე იარაღი გაფორმდება, საგანგებო სიტუაციის შექმნის დროს კი რეზერვგავლილი მოქალაქეები შესაბამის უწყებაში გამოცხადდებიან და იარაღს მიიღებენ.

გარდა ამისა, წყარო იმასაც აცხადებს, რომ პირებს, რომლებიც „კომანდოს“ ბატალიონში მსახურობენ, აღნიშნული სწავლებების გასავლელად სამ-სამი პირის მიყვანა დაევალათ.

სამხედრო ექსპერტებს „გაუშლელ“ საკითხზე კომენტარის გაკეთება უჭირთ.

ექსპერტ ირაკლი ალადაშვილის განცხადებით, „5 დღეში ქუჩიდან აყვანილი ხალხის სამხედრო მომზადება არარეალურია“.

„საინტერესოა, რეალურად რა არის ჩადებული ამ პროგრამაში. გამიჭირდება იმაზე საუბარი, რა გამოვა აქედან იმის გათვალისწინებით, რომ 5 დღეში ქუჩიდან აყვანილი ხალხის სამხედრო მომზადება არარეალურია. თანაც, საინტერესოა, ვინ წავა ნებაყოფლობით რეზერვში? ამდენად, ჯერჯერობით ძალიან მცირე ინფორმაცია გვაქვს. რაც შეეხება ამ რეზერვისტებისთვის შესაბამისი ნომრის მინიჭებას და ამ ნომრით იარაღის გაფორმებას, კომენტარის გაკეთება ამაზეც გამიჭირდება. ისე კი, 45-დღიან რეზერვგავლილებს თავიანთი ნომერი და იარაღი აქვს, — განუცხადა „პირველს“ ალადაშვილმა და იქვე დასძინა, რომ აღნიშნული 45 მლნ ლარის მიზნობრიობის შესახებ პარლამენტის ნდობის ჯგუფისთვის მაინც უნდა გახდეს ცნობილი.

„პარლამენტში არის ნდობის ჯგუფი, რომელიც პრაქტიკულად არ იკრიბება და არ მუშაობს. საჭიროა, ეს ჯგუფი შეიკრიბოს და მათთვის მაინც გახდეს ცნობილი, რისთვის დაიხარჯება ეს თანხა, რადგან თავდაცვის სამინისტროს ყოველთვის შეუძლია თქვას, რომ „ინფორმაცია დახურულია“. არადა, წლის ბოლოა და საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება, თავდაცვის ბიუჯეტის 45 მლნ ლარით გაზრდა რას შეიძლება უკავშირდებოდეს? თუ საჭიროება არსებობდა, რატომ თავიდანვე არ იყო იგი გათვალისწინებული? ან თუ წლის დასაწყისში არ იყო საჭირო, მაშინ რაიმე ახალი საფრთხე ხომ არ გამოჩნდა და კონკრეტულად რაში მდგომარეობს იგი?“, — განუცხადა „პირველს“ ალადაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის სახელწიფო ბიუჯეტში ცვლილება შედის, რომლის მიხედვით, ახალაიას უწყების დაფინანსება 45 მილიონი ლარით იზრდება.

ინფორმაცია

## „პლანეტა ფორტესა„ და „მაცნეს“ ჯიხურების ასაღებად 2-დღიანი ვადა მისცეს

**თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა პრესის გამავრცელებელ კომპანიებს — „პლანეტა ფორტესა„ და „მაცნეს“ საკუთარი ჯიხურების ასაღებად 2-დღიანი ვადა მისცა. ამის შესახებ თავად კომპანიების წარმომადგენლებმა განაცხადეს.**

**— მერიაში პრესის სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლები ცალ-ცალკე დაგვიბარეს და გვითხრეს, რომ ჩვენი ჯიხურები ორი დღის ვადაში უნდა ავიღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონით მინიჭებული უფლებით ისარგებლებენ. აღნიშნულის მიზეზად ზედამხედველობის სამსახური ნებართვების უქონლობას ასახელებს. წლების წინ, როცა ჯიხურები ჩავდგით, მხოლოდ მერიის შესაბამისი დადგენილება იყო საკმარისი, რაც გვაქვს, თუმცა ისინი მიწის იჯარის საბუთს ითხოვენ, რაც ახლახანს შემოიღეს და, ბუნებრივია, არ გვექნება, — განაცხადა „პლანეტა ფორტეს“ ხელმძღვანელმა მერაბ ჩანჩალაშვილმა.**

**მისივე განმარტებით, მას ექვსი ჯიხურის აღება მოსთხოვეს, რის გამოც დაახლოებით 10-მდე თანამშრომლის შემცირება მოუწევს.**

**„თავიდან 80 ჯიხური მქონდა. ნელ-ნელა ამაღებინეს და დამრჩა 38. ახლა კიდევ 6 უნდა ავიღო. ეს ნიშნავს, რომ ორგანიზაცია დახურვის პირასაა“, — აღნიშნა მან.**

**„მაცნეს“ წარმომადგენლის თინათინ ხარბედიას განცხადებით, ჯიხურების აღება „მაცნესაც“ მოსთხოვეს.**

**— საუბარია 12 ჯიხურის აღებაზე, თუმცა ზუსტად რა რაოდენობის ჯიხურები უნდა ავიღოთ და რა მისამართებიდან, ამაზე ზედამხედველობის სამსახურიდან წერილობით პასუხს ველოდებით, — განმარტა თინათინ ხარბედიამ.**

**არსებული ინფორმაციით, მერიის მიერ სავაჭრო ჯიხურების დადგმაზე აუქციონი ძირითადად სწორედ იმ ადგილებზეა გამოცხადებული, სადაც უკვე დგას პრესის გამავრცელებელი ჯიხურები.**

**ამასთან, თბილისის მერიაში განაცხადეს, რომ ამ საკითხზე კომენტარს წერილობით გაავრცელებენ.**

ინტერპრესნიუსი

ბიუჯეტი

## დიმიტრი გვინდაძე სკოლების დაფინანსების შემცირებას 5 წლის ბავშვების მიღებით ხსნის

**ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე სკოლების დაფინანსების მუხლში თანხების შემცირებას სკოლებში 5 წლის ასაკის ბავშვების მიღების ფაქტორით ხსნის .**

განათლების სისტემაში თანხების გადანაწილების საკითხით, მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის განხილვისას, ქრისტიან-დემოკრატი დეპუტატი ლევან ვეფხვაძე დაინტერესდა.

ფინანსთა მინისტრის დიმიტრი გვინდაძის განცხადებით კი წელს პირველად განხორციელდა სკოლებში 5 წლის ასაკის ბავშვების მიღება და თავიდანვე არ იყო ცნობილი საჭირო თანხები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება საბიუჯეტო ცვლილებებით 326, 142 ათასი ლარიდან 320, 697,5 ათას ლარამდე მცირდება.

მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებები პარლამენტმა გუშინ დაამტკიცა.

ინტერპრესნიუსი

№ 222. პარასკევი, 25 ნოემბერი, 2011 წელი.

◉ აქტუალური ინტერვიუ

# ნინო ბურჯანაძე: ყველა ფასეულობა ფეხქვეშ გაითელა!



**„ვარდების რევოლუციის“ მე-8 წლისთავზე, შეცდომებზე, მიღწევებსა და ახალ რეალობაზე „პირველი“ რევოლუციური ტრიუმვირატის წევრს, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა.**

**— როგორ შეაფასებდით რვა წლის გადასახედიდან „ვარდების რევოლუციას“, რომლის სათავეებთან თქვენც იდექით?**

— ის, რაც 2003 წელს მოხდა, იმჟამინდელი ხელისუფლების უმოქმედობიდან გამომდინარე, გარდაუვალი აუცილებლობა იყო. როცა მაშინდელმა ხელისუფლებამ ქვეყანას ნორმალური განვითარების შანსი არ მისცა, როცა მოსახლეობას არ მიეცა შანსი, საკუთარი ბედი არჩევნების გზით თავად გადაეწყვიტა, „ვარდების რევოლუცია“ იქცა შანსად, თუმცა მოქმედმა ხელისუფლებამ ის, სამწუხაროდ, ვერ გამოიყენა.

**— კერძოდ რა მოლოდინები ვერ გაამართლა, თქვენი შეფასებით, რევოლუციურმა ხელისუფლებამ?**

— სამწუხაროდ, გვიწევს იმის დეკლარირება, რომ „ვარდების რევოლუციის“ ყველა ძირითადი ფასეულობა ფეხქვეშ გაითელა. განსაკუთრებით ეს ბოლო პერიოდში გაძლიერდა. ყველა მთავარი დაპირება, დაწყებული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით, დემოკრატიული ფასეულობების გაძლიერებით, კორუფციის რეალურად დამარცხებით და არა მხოლოდ საშუალო და ქვედა დონეებზე აღმოფხვრით, სიღატაკის დაძლევით და ა.შ. კვლავ დაპირებად რჩება. მოსახლეობის 2/3 კვალაც გაღატაკებულია, სასამართლო სისტემა ფაქტობრივად არ არსებობს, ქვეყანაში დემოკრატიის არანაირი ნიშანწყალი არ არის.

**— იყო თუ არა შესაძლებელი, თქვენი აზრით, რევოლუციამდე ან რევოლუციის დროს მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის იმ შეცდომების პროგნოზირება, რომელთა გამოც თქვენ დღეს მათ აკრიტიკებთ? მაგალითად, დღეს ოპოზიციის არაერთი ლიდერი სააკაშვილის იმპულსურობაზე საუბრობს. ჩანდა თუ არა იმ დროს სააკაშვილის ეს თვისება?**

— სააკაშვილი ნამდვილად ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერია და ძლიერი პოლიტიკოსია. ზოგადად, ქარიზმატულ ლიდერებს იმპულსურობა ახასიათებთ, მაგრამ გარემოცვა იმისთვის არსებობს და იმიტომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების მზაობა, დაიცვას საკუთარი ინტერესები, რომ ეს იმპულსურობა სისტემატიურობაში, ავტოკრატიული და დაუფიქრებელი გადაწყვეტილებების მიღებაში არ გადაიზარდოს. სწორედ იმის გამო, რომ მაშინ ძალიან ბევრი რამის პროგნოზირება შესაძლებელი იყო, მე სააკაშვილის გუნდის წევრი არ ვიყავი. იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ სიაში პირველ ნომრობას მთავაზობდა, მე სხვა გუნდში ვიყავი. ეს გუნდი „ბურჯანაძე-დემოკრატები“ იყო, რომელსაც მთელი რიგი მიმართულებებით განსხვავებული ხედვა ჰქონდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ქვეყანაში რევოლუციური პროცესები განვითარდა და უკვე მოსახლეობის გადაწყვეტილება იყო და არა ნინო ბურჯანაძის ან „ბურჯანაძე-დემოკრატების“, რომ ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილი მოსულიყო. ამდენად, ახლაც ჩვენს მოსახლეობას ძალიან სერიოზული დაფიქრება მართებს, რათა გადაწყვეტილებები გონებით და არა გულით მიიღოს. მაშინ გადაწყვეტილება უფრო ემოციურად იქნა მიღებული. მე ახლა ბევრი იმ ადამიანის სიტყვები მახსენდება, ვინც დღეს სააკაშვილის დიდი მხარდამჭერი და ბურჯანაძის გამაკრიტიკებელია. ისინი ამბობდნენ, რომ „სააკაშვილი დამანგრეველი ძალაა“, რომ „შეიძლება, ბევრი რამ მართლაც დასანგრევია, მაგრამ ის იმაზე მეტს დაანგრევს, ვიდრე რეალურად საჭიროა“ და ასე შემდეგ. მაშინ არსებობდა რეალური შესაძლებლობა იმისა, „ბურჯანაძე-დემოკრატების“ გუნდს სააკაშვილის მხრიდან იმპულსური გადაწყვეტილებების მიღება გაეკონტროლებინა, ამ სიტყვის კარგი გაგებით და გარკვეული პერიოდი ეს ხერხდებოდა კიდეც. ჩემი მისია იყო, ვყოფილიყავი შემაკავებელი ფაქტორი და ძალიან ბევრ გადაწყვეტილებაში ამ მხრივ მიმელო მონაწილეობა. როცა საბოლოოდ დავინახე, რომ მის გადაწყვეტილებებზე რაიმე სახის ზემოქმედება შეუძლებელი ხდებოდა, ქვეყანაში მეორე პირის თანამდებობაზე ვთქვი უარი და წამოვედი. ეს გავაკეთე სწორედ იმიტომ, რომ ქვეყნის სწორ კალაპოტში ჩაყენება სრულიად შეუძლებელი ხდებოდა.

**— „ვარდების რევოლუციის“ დადებით მხარეებად და მის პოზიტიურ შედეგებად რას დაასახელებდით?**

— რევოლუციის მომხრე არასდროს ვყოფილვარ. „ვარდების რევოლუციის“ დროსაც ნამდვილად არ ვიყავი აღფრთოვანებული იმით, რომ ხელისუფლების შესაცვლელად რევოლუცია გვჭირდებოდა. ეს იძულებითი ნაბიჯი იყო. ერთდროულად სასაცილოც არის და სატირალიც, როცა ბურჯანაძე გამოჰყავთ ადამიანად, რომელიც თურმე, რევოლუციებზე გიჟდება და ღამე არ სძინავს, ისე უხარია მტვერში, ქარში ქუჩაში გასვლა და მიტინგებში მონაწილეობა. რევოლუცია ხელისუფლების მიერ გამოწვეული იძულებითი ნაბიჯია. რაც 2003 წელს მოხდა, სწორედ ეს იყო, რადგან ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა, თუ არა ხალხთან ერთად ქუჩაში გასვლა და მასშტაბური და აქტიური პროტესტის გამოხატვა არ გვრჩებოდა. სხვათა შორის, დღეს მორალს იმის თაობაზე, რომ რევოლუციები ცუდია, ქუჩა ცუდია, ის ადამიანები მიკითხავენ, რომლებიც თავის დროზე, 2003 წლის რევოლუციის დროს სააკაშვილთან იდგნენ. ზოგსაც შევარდნაძის ხელისუფლების დაცვა ევალებოდა, მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ გვერდით იდგა. დღეს, სამწუხაროდ, იგივე უბედურებაა, როცა ხელისუფლების უგუნური ქმედებების გამო საქმე კვლავ რევოლუციამდე მიდის. ჯონ კენედიმ თქვა, „როცა ხელისუფლება ხალხს რეალურ ცვლილებებზე და დემოკრატიაზე უარს ეუბნება, იძულებულს ხდის ადამიანებს, რევოლუციის გზით წავიდნენ“. დღევანდელი ხელისუფლება ხალხს არანაირ საშუალებასა და შანსს არ აძლევს იმისა, რომ დემოკრატიული და თავისუფალი არჩევანი გააკეთოს. ისე, ტელევიზორს ვუყურებ და ძალიან კარგად ჩანს, ქუჩა ბურჯანაძეს უყვარს, თუ სააკაშვილს, როცა მთელი დღის განმავლობაში კაბინეტში ვერ შევიყვანეთ. ამ დღეებში ქუთაისში გახსნილი მთავრობის შენობა ხომ საერთოდ კლასიკა იყო, როცა არარსებული შენობა გაიხსნა — მხოლოდ შუშის ფასადით და ლენტიც ვერ გაჭრა, რადგან პირველი სართულიც კი არ არის იმ მდგომარეობაში, როგორშიც ნორმალურ სახელმწიფოებში შენობებს ხსნიან. ისე, როგორც დღეს ტელევიზიიდან ჩანს, მარტო მიხეილ სააკაშვილი ყოფილა თურმე „ვარდების რევოლუციის“ ლიდერი...

> **თავისუფალი არჩევნები სააკაშვილისა და მისი გარემოცვისთვის სასიკვდილო საფრთხეა!**

**— ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გამოჩენით ახალი რეალობა შეიქმნა. საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილში გაჩნდა იმედები და მოლოდინები. თუკი რვა წლის წინათ არსებობდა ე.წ. რევოლუციური სამეული სააკაშვილის, ჟვანიას და ბურჯანაძის სახით, დღეს ივანიშვილის, ალასანიასა და უსუფაშვილის სახით ახალი ოპოზიციური სამეულის შესაძლო ფორმირებაზეა საუბარი. რა პარალელების გავლება შეიძლება ამ მხრივ 2003 წლის ცნობილ მოვლენებთან და მიღებული გამოცდილებიდან რა უნდა გაითვალისწინონ როგორც პოლიტიკურმა ლიდერებმა, ასევე საზოგადოებამ?**

— არსებულ მდგომარეობას ნამდვილად ვერ შევადარებდი მაშინდელ პროცესებსა და მაშინდელ რევოლუციურ სამეულს. ჯერ ერთი, არ ვიცით, რამდენად არის ჩამოყალიბებული ეს სამეული. ხშირად „რესპუბლიკელები“ მსაყვედურობენ, რომ თურმე, სააკაშვილი ხელისუფლებაში მე მოვიყვანე, თუმცა შევახსენებ მათ, რომ მაშინ „ნაციონალური მოძრაობის“ თანათავმჯდომარე არა ნინო ბურჯანაძე, არამედ ბატონი ბერძენიშვილი გახლდათ და მაშინ ალბათ, სწორადაც იღებდა გადაწყვეტილებას, რაკი მიაჩნდა, რომ რეალური ცვლილებები იყო საჭირო. მე ნამდვილად არ ვარ განწყობილი იმისთვის, რომ ვინმეს რჩევები მივცე და საკუთარი აზრი თავს მოვახვიო, თუმცა ერთი რამ ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია: უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა იგივე შეცდომები არ დავუშვათ და გადაწყვეტილებები მხოლოდ გონებით მივიღოთ. რა თქმა უნდა, თუკი არსებობს ელემენტარული შანსი და შესაძლებლობა იმისა, რომ ქვეყანაში ხელისუფლება დემოკრატიული, თავისუფალი და მშვიდობიანი არჩევნების გზით შეიცვალოს, თუ შესაძლებელია საარჩევნო გარემოს რეალური და არა ისეთი ფასადური ცვლილება, რომელშიც ზოგმა პარტიამ მილიონები აიღო, არჩევნები უნდა ჩატარდეს და ხელისუფლება ამ გზით შეიცვალოს, მაგრამ დაუშვებს კი ამას ხელისუფლება, რომლისთვისაც თავისუფალი არჩევნები სასიკვდილო საფრთხეა და ამ საფრთხის არაცილების შემთხვევაში ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და განსასჯელის სკამი ელოდებათ?!

— რა თქმა უნდა, არა! ეს არის ის მთავარი შეკითხვა, რომელზეც პასუხია გასაცემი და რომლის გადასაწყვეტადაც გზებია საპოვნელი. რაც შეეხება ახალ პოლიტიკურ რეალობას, დღეს მოლოდინები თავად ბიძინა ივანიშვილის მიმართ არსებობს. თქვენ იცით, რომ პირადად მეც, ჩემი პარტიაც და „სახალხო კრებაც“ მის პოლიტიკაში ჩართვას ძალიან პოზიტიურად შევხვდით. დღესაც ვთვლი, რომ ეს პოზიტიური მოვლენაა და მინდა, შეცდომები არ იქნას დაშვებული. ამ შემთხვევაში ის პრინციპული შეცდომები მაქვს მხედველობაში, რომელიც მთავარი საქმის განხორციელებას შეუშლის ხელს, თორემ უშეცდომო დედამიწაზე არავინაა. კონკრეტული რჩევების მიცემა, გნებავთ, პოლიტიკოსებისთვის და გნებავთ, ხალხისთვის უმადური საქმეა და საერთოდაც ჩემი საქმე არ არის, თუმცა ჩემი მოსაზრებები, რომელიც საკმაოდ სერიოზულ გამოცდილებას ეფუძნება, ღიაა. მე არასდროს დამიმალავს ხედვა იმის თაობაზე, თუ რა სჭირდება ქვეყანას, როგორი ხელისუფლება და როგორი ძალების ერთიანობაა საჭირო, რა არის საჭირო იმისთვის, რომ არსებული ხელისუფლება შეიცვალოს.

**ნათია ინაური**

◉ ვარაუდი

# „ქართულ საზოგადოებაში მესამე — დამაბალანსებელი ძალის მოთხოვნა გაჩნდა“



**„ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე განვლილ 8 წელიწადზე და პოლიტიკურ სივრცეში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით შექმნილ ახალ რეალობაზე „პირველი“ სოციოლოგს, პოლიტიკურ კონსულტანტს ვალერიან გორგილაძეს ესაუბრა.**

**— ბატონო ვალერიან, „ვარდების რევოლუციიდან“ 8 წელი გავიდა. როგორ შეაფასებთ ამ პერიოდს? რა მიღწევებსა და შეცდომებს გამოყოფდით?**

— პოზიტიურ პროცესებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, კერძოდ, ავტობანების მშენებლობას, წყალმომარაგების მხრივ ვითარების გაუმჯობესებას, ენერგეტიკულ პროექტებს, სახელმწიფო მენეჯმენტის გაუმჯობესებას, მართლწესრიგის დამყარებას გამოვყოფდი. რაც შეეხება ნეგატიურ მოვლენებს, ამ მხრივ უნდა აღვნიშნო პოლიტიკური სისტემის მანკიერება, რაც იმაში გამოიხატება, რომ სხვა დანარჩენებზე აღმასრულებელი დომინირებს. ამავე კონტექსტში უნდა აღინიშნოს დაკარგული ტერიტორიებისთვის ახალგორის და კოდორის ხეობის მიმატება. გარდა ამისა, პრაქტიკულად არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო, მედიის მნიშვნელოვან ნაწილს ხელისუფლება აკონტროლებს. ერთ-ერთი მთავარი ნეგატივია ასევე კონკურენციის არარსებობა. ხშირად სახელმწიფო ახდენს გარკვეული პროექტების ლობირებას, ტენდერები არ არის გამჭვირვალე, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკმაოდ დიდი გავლენა აქვს რეპრესიულ ინსტიტუტებს. განათლების სისტემა არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შევარდნაძის დროს უარესი იყო.

იხ. 4 გვ.

№ 222. პარასკევი, 25 ნოემბერი, 2011 წელი.

## რუსეთი კიდევ ერთ ომს მოგვახვევს თავს?

# საქართველომ ევრაზიულ კავშირში „კეთილმეზობლური“ შეთავაზებისგან თავდაცვის მექანიზმებზე უნდა იფიქროს

**აგვისტოს ომის რეალური მიზეზები პრეზიდენტ მედვედევის განცხადებებში, თუ რა პერსპექტივა აქვს ევრაზიულ კავშირს, რომლის გეოპოლიტიკური პროექტით პუტინი კრემლში ბრუნდება; რა რეაქცია ექნება პუტინის გეგმებზე დასავლეთს, „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრა.**



**— ბატონო ირაკლი, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ვლადიკავკაზსა და როსტოვში გაკეთებული განცხადებებით პრაქტიკულად აღიარა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს ნატოში სწრაფვის შეჩერებას უკავშირდებოდა. მედვედევმა თქვა ის, რაც დასავლეთში ისედაც კარგად იციან, მაგრამ თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს მედვედევის „გულწრფელობის“ სწორედ ახლა დემონსტრირება?**

— არა მგონია, რამე განსაკუთრებულ მოვლენასთან გვქონდეს ადგილი. ბატონმა მედვედევმა ჩათვალა, რომ ომიდან საკმარისი დრო გავიდა, ომის შედეგები გადახედვას არ ექვემდებარება და ახლა ღიად შეუძლია თქვას, როგორ შეაჩერა ნატო კავკასიაში. არც ერთ სერიოზულ პოლიტიკოსსა და ანალიტიკოსს არც ადრე შეპარვია ეჭვი იმაში, რომ რუსეთი 2008 წელს სწორედ დასავლეთს ებრძოდა საქართველოში. რუსეთი 2008 წელს ამტკიცებდა, რომ მისი მიზანი სულაც არ იყო საქართველოს ნატოში სწრაფვის შეჩერება. მაშინ იგივე მედვედევი ამტკიცებდა, რომ რუსეთმა საქართველოს აგრესია და ოსი ხალხის მოსალოდნელი გენოციდი აღკვეთა.

საგულისხმოა, რომ არა მარტო პრეზიდენტ მედვედევის ეს კონკრეტული განცხადება, არამედ რუსეთის მთელი მმართველი გუნდის წინასაარჩევნო რიტორიკის საგანი სულ უფრო ხშირად ხდება საკმაოდ „საინტერესო თემები“ — ახალი ინტეგრაციული ევრაზიული კავშირის პროექტი, საბჭოთა ნოსტალგიის ხაზგასმა და არა მხოლოდ პოლიტიკოსების მიერ. ერთი სიტყვით, მედვედევის უკანასკნელი განცხადება საერთო კონტექსტში კარგად ეწერება.

**— როგორი რეაქცია ექნება მედვედევის განცხადებებზე ნატოს, იგივე აშშ-ს? დასავლეთის მხრიდან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებაზე რუსეთის ვეტოს აღიარება ხომ არ იქნება იმავე დასავლეთის მხრიდან იმის აღიარებაც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის გავლენის სფერო და, როგორც რუს პოლიტოლოგებს უყვართ თქმა, „რუსეთის უკანა ეზოა“?**

— იმედი მაქვს, რომ — არა. შესაძლოა, დასავლეთში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყოს, მაგრამ სერიოზულ პოლიტიკოსთა შორის არა მგონია, კითხვის ნიშანი გაჩნდეს. ეს მხოლოდ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისადმი სიმპათიებით არ არის განპირობებული. რასაც უკანასკნელ პერიოდში ასე აქტიურად აცხადებენ რუსეთის ლიდერები, უბრალოდ, საშიში ხდება დასავლეთისთვის. ხოლო, რეალიზებული სახით ეს არის იმ „ბოროტების იმპერიის“ აღდგენა, რომლის დაძლევასაც დასავლეთმა ათწლეულები შეალია. პოსტსაბჭოთა სივრცეზე სსრკ-ს მსგავსი სახელმწიფოს შექმნა, დასავლური ცივილიზაციისთვის ერთმნიშვნელოვნად საფრთხეა.

**— მედვედევის განცხადებები ნატოსთვის საქართველოს საკითხში გაფრთხილებად ხომ არ შეიძლება იქნას აღქმული? და კიდევ, რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ თუ საქართველომ ნატოსკენ სვლა გააგრძელა, კრემლი საქართველოსთან კიდევ ერთ ომს დაიწყებს?**

— საქართველოს, მისი ევროატლანტიკური მისწრაფების გამო, მუქარა არ დაკლებია, ამიტომ ეს განცხადება, რაიმე ორიგინალობით არ გამოირჩევა. ამ ტიპის განცხადება გაფრთხილება და მუქარა იმდენად შეიძლება იყოს, რამდენადაც ჩვენ შეიძლება შეგვეშინდეს ამგვარი გამონათქვამების. მე არა მგონია, რომ საქმე ასე იყოს.

**— პუტინი კრემლში ევრაზიული კავშირის შექმნის გეოპოლიტიკური იდეით ბრუნდება. აშკარაა, რომ ევრაზიული კავშირი უწინარესად არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური პროექტია. თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს ევრაზიულ კავშირს და როგორ უნდა მოიქცეს ოფიციალური თბილისი იმ შემთხვევაში, თუ კრემლმა თბილისს ევრაზიულ კავშირში შესვლა შესთავაზა?**

— უეჭველია, რომ ევრაზიული კავშირის იდეა პოლიტიკური პროექტია და ეს საბჭოთა რეალობის დაბრუნებისა და ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნების მცდელობაა. ამის საბუთებს ამ დღეებში თავად რუსეთის ხელმძღვანელი ტანდემი და მისი ახლო გარემოცვა უხვად იძლევა. პუტინმა სსრკ-ს დაშლას საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა უწოდა. სულ ახლახან, იგივე თეზისი რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სულიერმა ლიდერმა კირილმა გაიმეორა და სსრკ-ს დაშლა „რუსეთის განვითარების ისტორიული გზიდან გადახვევად“ შეაფასა.




ორიოდე დღის წინათ, პოლიტიკური აზროვნების მორიგი „მარგალიტი“ მედვედევმა შემოგვთავაზა, როცა ავად სახსენებელი ბრეჟნევის პერიოდის თეზისი გაიხსენა — „სსრკ-ში ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის არსებობის შესახებ“.

პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრებმა ხალხებმა საბჭოთა პერიოდშიც და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც საკმარისად იწვნიეს, რათა ამგვარ სატყუარაზე არავინ წამოეგოს. ყოველ შემთხვევაში, საქართველოსთვის ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია ასეთი იდეის შეთავაზება. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ევრაზიული კავშირის პროექტს ევროინტეგრაციის მოდელთან არაფერი საერთო არ აქვს. ევროპა თავის გაერთიანებაში არავის არ იწვევს და, მით უმეტეს, მასში გასაწევრებლად ხელს არ უგრეხს. ევროკავშირი მიზიდულობის ძალით მოქმედებს და მათ, ვისაც ევროკავშირში შესვლა სურთ, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის სივრცეს სთავაზობს. სამწუხაროდ, რუსეთი სწორედ ამის საწინააღმდეგოს აკეთებს ისევე, როგორც საკუთარივე დსთ-ს პროექტის შემთხვევაში. დსთ-ს დასაშლელად, ამ პროექტის კოლაფსისთვის ყველაზე „სერიოზული სამუშაო“ 90-იან წლებში სწორედ რუსეთმა გასწია.

საქართველოს უამრავი საშინაო საქმე აქვს გასაკეთებელი და, ჩვენ უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა მივხედოთ. საქართველოს სტრატეგიული არჩევანი გაკეთებული აქვს და ის, ჩვენი საგარეო პოლიტიკის ღერძად უნდა დარჩეს და ამგვარი „კეთილმეზობლური“ შემოთავაზებისგან თავდაცვის მექანიზმებზე იფიქროს. იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რაც ჩვენ უკანასკნელი 20 წელიწადში, სამწუხაროდ, დავაგროვეთ, ეს განსაკუთრებულ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს.

**— ხშირად გაიგონებთ მტკიცებას, რომ საქართველომ რუსეთთან ურთიერთობის დალაგების ფარგლებში კრემლთან თანხვედრი ინტერესების მოძებნა უნდა შეძლოს. ამ მტკიცების საწინააღმდეგო ჭკუათმყოფელ ადამიანს არ შეიძლება რამე ჰქონდეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კრემლი საერთაშორისო ასპარეზზე თუ ვინმესთან თანამშრომლობს, მხოლოდ თავის პირობებზე. ფაქტია, რომ ეს კრემლს მეტნაკლები წარმატებით გარკვეულწილად გამოსდის კიდეც. აქედან გამომდინარე, არსებულ სიტუაციაში რამდენად შესაძლებელია, რომ საქართველომ რუსეთთან შეძლოს თანამშრომლობისთვის თანხვედრის წერტილების პოვნა?**

— სტრატეგიული თვალსაზრისით თქვენს შეფასებას მთლიანად ვიზიარებ. რუსეთი მართლაც ასე იქცევა, მაგრამ საერთო ინტერესების გათვალისწინებით, ცალკეულ საკითხებში კონსენსუსის მოძებნა შესაძლებელია. მაგალითად, ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა. ბოლოს და ბოლოს, ისეთ საკითხშიც კი მოიძებნა კომპრომისი, როგორიც რუსეთის ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრება გახლდათ. სხვათა შორის, რუსეთი თავად არ არის ერთგვაროვანი. არსებობს რეგიონული ინტერესები, ინტერესთა ჯგუფები, რომელთაც ზოგჯერ, ცენტრისგან განსხვავებული ხედვები აქვთ. ეს ყველაფერი ქმნის მოლაპარაკებების შესაძლებლობის გარკვეულ ველს. ეს შესაძლებლობები შეზღუდულია, მაგრამ რეალურად არსებობს. იმ მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელშიც ჩვენ ვართ რუსეთთან ურთიერთობაში, ამ მცირე, მაგრამ მაინც რესურსის ხელიდან გაშვება, რა თქმა უნდა, არ ღირს. მაგრამ, ამასთან ერთად, უდავოა, რომ ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, ანუ ქვეყნის სტრატეგიული საგარეო ვექტორი სრულად უნდა იყოს დაცული.

**კობა ბენდელიანი**

## ვარაუდი

# „ქართულ საზოგადოებაში მესამე — დამაბალანსებელი ძალის მოთხოვნა გაჩნდა“

(მესამე გვერდიდან)

**— ეტყობოდა თუ არა რევოლუციის წინაპერიოდში ხელისუფლებაში მომავალ გუნდს რაიმე ის თვისება, რომელმაც შემდგომში უკვე ხელისუფლებაში მოსული ძალის მიერ შეცდომების დაშვება განაპირობა?**

— ამ გუნდს ვერავინ ვერაფერს შეატყობდა. თუ ჩამოვთვლით რევოლუციის ლიდერებს — მიხეილ სააკაშვილს, ნინო ბურჯანაძეს, ზურაბ ჟვანიას, ჩვენ ვიცით, სად არიან ახლა ისინი. ის ხალხი, რომელიც თავის დროზე ქმნიდა მმართველ ძალას — „რესპუბლიკელები“, „კონსერვატორები“, კობა დავითაშვილი, ყველა ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს ამოვარდა ამ გუნდიდან, ამის წინასწარ გათვლა კი რთული იყო. ერთადერთი, რისი გათვლაც წინასწარ შეიძლებოდა, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის სტილი იყო. ის ყოველთვის დომინირებდა პროცესებში, საზღვრავდა განვითარების ტემპს, მოქმედების გეგმას, რაც ნათელს ხდიდა, რომ შემდგომშიც პოლიტიკურ კურსს სწორედ ის შექმნიდა და ავტორიტარიზმისკენ ჰქონდა მიდრეკილება. ვინც მას ახლოს იცნობდა, ამას აუცილებლად განჭვრეტდა, ამდენად ჩემთვის გაუგებარია, დღეს რომ ამბობენ, „იყო სხვა და გახდა სხვაო“.

**— თუ შეგიძლიათ, სააკაშვილის მმართველობა წინა ორი პრეზიდენტის მმართველობას შეადაროთ?**

— როცა ხალხმა ზვიად გამსახურდია აირჩია, პრინციპში, ეს სწორი არჩევანი იყო: ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას ეს კაცი ასახიერებდა და ამ კალიბრის ლიდერი მაშინ სხვა არ იყო. როდესაც შევარდნაძე აირჩიეს, მაშინაც ეს პრაგმატული გადაწყვეტილება იყო. როცა საზოგადოებამ მოიყვანა სააკაშვილი, ესეც სწორი არჩევანი გახლდათ, მაგრამ საქმე ის არის, რომ მათგან ვერც ერთმა დაბალანსებული პოლიტიკური სისტემის შექმნა ვერ შეძლო. სამივე მათგანს ავტორიტარიზმისკენ ჰქონდა მიდრეკილება. მეტ-ნაკლებად ლიბერალი და ყველაზე მეტად დემოკრატი მათგან შევარდნაძე აღმოჩნდა. მაგრამ ეს ყველაფერი არა მხოლოდ ლიდერების ბრალია: საზოგადოებასაც აქვს ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილება და ამაში ბრალი ყველას მიუძღვის.

**— წარუმატებელი საპროტესტო აქციების შემდეგ ხელისუფლების შეცვლის საკითხი დღის წესრიგიდან თითქოს მოიხსნა, თუმცა პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ფიგურის — ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ის კვლავ აქტუალური გახდა. 2003 წლის მსგავსად, საზოგადოების განწყობა კვლავ ეიფორიულია. ხომ არ დაუშვებს იგივე შეცდომებს საზოგადოება? გაამართლებს თუ არა მის მოლოდინს ახალი გუნდი (ივანიშვილი-ალასანია-უსუფაშვილი)? სახეზეა თუ არა, თქვენი შეფასებით, ამ გუნდის რაიმე ისეთი უარყოფითი ნიშანი, რომელიც საზოგადოებამ, 2003 წლისგან განსხვავებით, ამჯერად მაინც უნდა გაითვალისწინოს?**

— გარკვეული მსგავსებების მიუხედავად, ვფიქრობ, ეს სიტუაცია 2003 წლის დროინდელისგან განსხვავდება. შეიძლება, ამ გუნდმა საზოგადოების ფართო მხარდაჭერა მართლაც მოიპოვოს და მმართველი პოლიტიკური ძალა აუტსაიდერად აქციოს, მაგრამ შევარდნაძის ხელისუფლებისგან განსხვავებით, ნაციონალური მოძრაობა ძალაუფლებას ადვილად არ დათმობს. მეორეც, ივანიშვილის გამოჩენამ საჯარო სივრცე გახსნა და პოლიტიკური პროცესები ისევ აქტუალური გახადა. ის, რომ მედიაში გააქტიურდა სახელისუფლებო გამოსვლები, ყოველდღე რაღაც ახალი იხსნება, იმაზე მიუთითებს, რომ მმართველი გუნდი წინასაარჩევნო პროცესში ჩაერთო და იმდენად მაღალი ტემპია აღებული, შესაძლოა, ხელისუფლება უახლოეს პერიოდში, თუნდაც გაზაფხულზე არჩევნების დანიშვნას არ გამორიცხავდეს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, საზოგადოებაში მოთხოვნაა ბალანსისა, მესამე ძალისა, ძალთა გაერთიანებისა, რომლებიც არ დაუშვებენ მყისიერ სახიფათო დაპირისპირებას. აღსანიშნავია, რომ ადრე ჩვენს საზოგადოებას მესამე — მაბალანსებელი ძალის მოთხოვნა არ ახასიათებდა, ახლა კი ამას ვხედავ. ეს შეიძლება, პოლიტიკური ძალა, ან სამოქალაქო სექტორის გაერთიანება იყოს.

**— დაბოლოს, თვლით თუ არა, რომ დადგა ხელისუფლების შეცვლის დრო? არის თუ არა ამის აუცილებლობა და ჩამოყალიბდა თუ არა მმართველი გუნდის რეალური ალტერნატივა?**

— დიახ, ამ ხელისუფლების შეცვლა აუცილებელია, თუმცა მთავარია, შეიცვალოს პოლიტიკური სისტემა, სახელმწიფოს მართვის წესი. ის, რომ ხელისუფლება გააქტიურდა ტელევიზიით თუ ახალი ინიციატივების გაჟღერებით, ნიშნავს, რომ ის ივანიშვილში საფრთხეს ხედავს, რომელმაც შეიძლება, ხელისუფლება შეცვალოს.

**ირინა არდაშელია**

◉ გლობუსი

# რა აქვს დასაწუნი ორთვალა სექს-სიმბოლოს?

**გასულ კვირას ბევრ სასიხარულო ამბავს ჰქონდა ადგილი. მათში განსაკუთრებული სიხარულის მომტანი ევროპარლამენტის გადაწყვეტილება იყო — აწ და მარადის რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების დაკავებას ოკუპაცია ეწოდოს. ამ სასიხარულო ამბავს პრეზიდენტმა საგანგებო განცხადება მიუძღვნა, თან ისიც აღნიშნა ფულით დატენილი ჩემოდნებიანი რუსები როგორ დარბიან მსოფლიოში, რათა ვინმემ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს.**

ევროპარლამენტართა გადაწყვეტილებამ დააკანონა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ წართმეული ტერიტორიები ჩვენიაო. ბრძანა პატივცემულმა მიხეილმა, თითქოს თუნდაც 2008 წლის აგვისტომდე ვინმეს შექონდა ამაში ეჭვი.

მაინც რა მაგრები ვართ ქართველები. გონება და იარაღი რომ არ დაგვიჩლუნგდეს რას არ ვიგონებთ. გამოვიგონებთ და შემდეგ უხერხული გამოგონების სასიკეთოდ შემოსაბრუნებლად ძალას, ენერგიას, ნერვებს და, რაც მთავარია, ფულს არ ვიშურებთ. „ოკუპაციის“ თემა ნაცთა მხრიდან იმდენად მნიშვნელოვნად ჩაითვალა, რომ ევროპარლამენტის სხდომამდე სამი დღით ადრე დაიწყო „უნიკალური“ მოვლენის მეთოდური შეფასება. ყოველივე ამას კი, როგორც მოგახსენეთ პრეზიდენტმა დაადგა გვირგვინი — წელში გამართულმა, ამაყი გამომეტყველებით, ამაყი სიტყვებით გვამცნო მან მორიგი „გამარჯვება“, მტარვალი რუსეთის დამარცხება, სიტყვა „ოკუპაციის“ მნიშვნელობის მარადიულობა.

მთავარი, ბოლო სამი წლის ჭიდილში — მიღწეულია — ოკუპანტ რუსს, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე შესაბამისი სახელი დაერქვა. როდესაც ესოდენ დიდი წარმატება გვიჭირავს ხელში, მალე უფრო დიდსაც დავიჭერთ, ოღონდ ეს დაკარგულის დაბრუნება იქნება თუ არა, არავინ იცის. დღეს რაც ვიცით რუსეთის „ოკუპანტობაა“. ამიტომ მაგრად უნდა გვეჭიროს ეს სიტყვა ხელში და თუ ერთი არ გვეყო მეორე ხელიც მივახმაროთ. **მაინც რა მაგრები გამოდგნენ შეჩვენებული ჩრდილოელი მეზობლები. რა მარტივად და სწრაფად დაგვაჭერინეს ხელში ღვიძლი ტერიტორიების ნაცვლად სიტყვა „ოკუპაცია“, თანაც ისეთი სიხარულით, ისეთი აღტაცებით და ვნებით, თითქოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი გვეჭიროს ხელში. მავანი შემედავება — შე რუსეთუმევ, რუსეთმა კი არ დაგვაჭერინა, პატივცემულმა მიხეილმა გვიყო ეგ სიკეთეო. ვეთანხმები მავანს. მაინც რა უმადურობა გვჭირს — საკუთარი პრეზიდენტის ყველა კეთილ საქმეს აუგად რომ მოვიხსენიებთ? აქაოდა სიტყვა „ოკუპაცია“ შორს არის სიტყვა „დაბრუნებისგანო“.**

გასულ კვირას ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისარმა ეშტონმაც შემოგვირბინა ქებათა-ქებით, კმაყოფილებით და სულ დემოკრატობის ძახილით. და ეს ყველაფერი შენი მისამართით იყო ნათქვამი ჩემო სამშობლოვ. დასავლელთა კეთილსიტყვიერება თავისთავად მახსენებს საბჭოთა პერიოდის ზოგიერთი გაზეთის რუბრიკას — „ამას შენზე ამბობენ ჩემო სამშობლოვ“. მკითხველო, ხომ ხედავ რა თქვეს საქართველოზე ჩვენმა სტუმრებმა — ასეთს ხომ არც შევარდნაძის და არც ერეკლეს დროს ჰქონდა ადგილი?! პრეზიდენტის მიერ ამ ფაქტის მრავალჯერ გამეორება არწმუნებს საზოგადოებას უცხოელთა ნათქვამის გულწრფელობაში.

მათგან რა მიდის? თუ ასე გაგვიხარდება და სიხარულით გადავირევით — ამას დაგვამადლის? ჰოდა, ვცხოვრობთ ასე გახარებულები ამ დუნიაზე.

უცხოელთა მიერ მონიჭებულ ბედნიერებას პრეზიდენტი სისტემატურად უმატებს ლოკალურ ბედნიერებას — ხან ყვარლის ტბის სახით, ხან განახლებული ბანკის შენობის სახით, ხან კვერცხებისა და ველოსიპედის ძანდაკებების სახით. ამ ტრანსპორტისათვის ძეგლის დადგმით საქართველო უდავოდ შევა გინესების წიგნში. თუმცა ვიღაცამ თავზე ცივი წყალი გადაგვასხა — ჰოლანდიაში უარეს ძეგლებსაც დგამენო და წყალში ჩაგვიყარა შორს მიმავალი იმედი.



**ველოსიპედი ჩვენი ისტორიული ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ველოსიპედზე ამხედრებული ქართველი მეომრები მედგრად ეკვეთებოდნენ ხოლმე მომხდურ მტრებს. ველოსიპედს დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომაცაა, რომ ბათუმსა და მომავალ სატახტო ქალაქ ქუთაისში ამ ტრანსპორტისთვის სპეციალური ბილიკები კეთდება. ველოსიპედის გარეშე ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია. მერე რა რიგი უხდებათ ჭამა-სმით გასიებულ ქართველობას ველოსიპედზე გადაჯდომა? ველოსიპედს განსაკუთრებით იმშვენებს ხელისუფლება და მისი ტანწერწეტა მრჩეველი ბენდუქიძე. ისე კაცმა რომ თქვას, ზორბატანიან ქართველობას, რომელსაც ტროლეიბუსის სიდიდის ჯიპები ვერ უძლებს — ველოსიპედები გაუძლებს?**

ველოსიპედი ჩვენი ცხოვრების ნაწილია. მის გარეშე ცხოვრება ნაკლებად საამურია. ჰოდა, თუ ყოველდღე არ ვზივართ ველოსიპედზე, რომ ჩავუვლით გავიხსენებთ და პატივს მივაგებთ, გვირგვინებსაც მივუტანთ, ცოცხალ ყვავილებსაც — ქართველთათვის გაწეული უდიდესი სამსახურისთვის. ავი ხმები ამბობენ ფრანგი მოქანდაკის „შედევრი“ 8 მილიონი დამჯდარა. მდიდარ საქართველოსთვის 8 მილიონი რა ფულია. განა არ ღირს 8 მილიონი იმ ტანის ჟრუანტელისთვის „ძეგლის“ ნახვის დროს, რომ იგრძნობთ?! ღირს და მერე როგორ! **მაინც რა უფრო დიდ სიამოვნებას მოგვანიჭებს ველოსიპედი თუ ნიკოლაიშვილის მიერ ცისფრად შეღებილი ყვარლის ტბა?, გმირთა მოედანზე აყენებული მონუმენტი, ხალხმა რომ ფალოსად მონათლა თუ ბათუმის კვერცხები და ერთმანეთში შემავალი ალი და ნინო? თბილისის ძველ უბანში მტკვარზე გადებული პამპერსი, ბოდიში, მინის ხიდი თუ თბილისის ქუჩებზე წამომხობილი უფუნქციო რკინის ხიდები? ამაზე იტყვიან საკუთარ „ოფოფებს“ ისწორებსო და მართლაც, რაც დაესიზმრა ყველაფერი აიხდინა — შადრევნები, საქანელები, საციგურაო მოედნები, პარლამენტისა და მთავრობის სახლები ქუთაისში და სხვა. მაინც რამხელა გაქანება და პატრიოტიზმი უნდა ჰქონდეს პირველს, რომ მეფეთ-მეფის დავითის ძეგლი ქალაქგარეთ მოისროლოს და მის ადგილას ველოსიპედი წამოჭიმოს. ბარაქალა პატივცემული მიხეილის გაქანებას. მოკლედ, ამ ერთმა კაცმა რაც ჩაიფიქრა ყველაფერი აისრულა. მისი უშრეტი ფანტაზიიდან გამომდინარე სულ მალე თავისუფლების მოედნიდან წერეთლის „შედევრს“ მოისვრიან და, მის ნაცვლად ამერიკული სიმინდის ტაროს აღმართავენ. ამერიკულ სიმინდს ხომ ცივილიზებული მსოფლიოსა და დემოკრატიული საქართველოს წინაშე უდიდესი დამსახურება აქვს?!**

ამას წინათ ბიძინა ივანიშვილმა შალვა რამიშვილს „დარდუბალას“ აღდგენა სთხოვა. ისიც დაეთანხმა — შენ ფული მომეცი და „დარდუბალის“ გაკეთებას რაღა უნდაო. ვეჭვობ, რომ მას რამე გამოუვიდეს. შალვას ისეთი კონკურენტი ჰყავს მიშიკოს სახით, ავ თვალს რომ არ ენახება. „დარდუბალას“ მომავალი მთავარი გმირი, ყოველდღიურად საკუთარ თავზე ისეთ „დარდუბალას“ დგამს, შალვას „დარდუბალა“ ახლოსაც რომ ვერ მოვა.

აი, ამ ბედნიერებას უყურებს საქართველოს მოსახლეობა, საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნის საელჩოები, საქართველოში ჩამოსული უცხო ქვეყნის დელეგაციები. არც ერთს სიტყვა არ დასცდენია აქ არსებულ, განუკითხაობაზე, თუნდაც იმაზე თუ რაში იხარჯება მათ მიერ მოცემული ფული. მაგრამ არა, ისინი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არიან და რახან ასეა კბილებით უნდა დაიცვან საკუთარი პროექტი — საქართველოში ჩათესილ-გაფურჩქნული. დასავლეთს რა უჭირს. ის თავის საქმეს აკეთებს სააკაშვილის ხელით — კავკასია-კასპიის ზღვის რეგიონში პოზიციების გამაგრება რომ ჰქვია, თორემ ჩვენ ვიკითხოთ ტერიტორიების დაბრუნების ნაცვლად ფარატინა ქაღალდი რომ დაგვაჭერინეს ხელში.

ევროკავშირმა რუსეთთან სავაჭროდ ახალი რამ მოიგონა, ისეთი რუსეთთან ჭიდაობაში კარგა ხანს რომ წაადგება. ისე, როგორც ამ ოცი წლის განმავლობაში მოსკოვ-ბრიუსელ-ვაშინგტონს შორის საქართველო საჭილდაო ქვად რჩება. აღარ დავიღალეთ? დავიღალეთ და მერე როგორ, თავსა და ბოლოს ვერ ვარკვევთ — სვანეთის საგანძურს ქუჩაში ვყრით, პენსიონერთა და უპოვართა დახმარების ნაცვლად მილიონებს ვხარჯავთ გაუგებარ ძეგლებში, ძვირადღირებული უცხოელი მომღერლების მოწვევებში, „აგვისტოს 5 დღის“ — უსუსური ბოევიკის“ დაფინანსებაში, ხელისუფლების სახოტბო მაკულატურის გამოცემაში, უცხოურ პრესაში საქართველოს „სადიდებელი“ სტატიების და რეკლამების ბეჭდვაში, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ფულის ამ კოკისპირულ ფანტვას წარმატებულ პროექტებს ვუწოდებთ. ბათუმი ხომ ავაშენეთ, ახლა ქუთაისს მივადექით, თბილისი ხომ შენდება და შენდება. თუ როგორ შენდება ბათუმი კარგად არის აღწერილი იქაური კაცის, შესანიშნავი ჟურნალისტისა და პატრიოტის ამირან კილურაძის ინტერვიუში სათაურით „ჩადრიანი საქართველო“ („საერთო გაზეთი“ძ: „ბათუმში უამრავი თურქული ოჯახი გადმოსახლდა. ძველი ბათუმის ერთ ქუჩას ტრაპიზონი შეარქვეს. წლების განმავლობაში თურქები აჭარაში სავაჭრო ცენტრებს ხსნიდნენ, ბიზნესს აწარმოებდნენ, ახლა გადმოსახლებაც დაიწყეს. უპრობლემოდ იღებენ ორმაგ მოქალაქეობას, სალოცავებიც აქვთ და ბიზნესიც, თავს კარგად გრძნობენ. გამალებული გამუსლიმანება შეინიშნება აჭარაში და ამას ვერ ეწინააღმდეგება ეკლესია, რადგან საპატრიარქო სახელმწიფოს წინააღმდეგ არ გამოდის. ვისაც უნდა მედრესეს აშენებს, ვისაც უნდა ჯამეს... ყველაზე მეტად მაღელვებს თურქეთში სასწავლებლად გაგზავნილი გოგო-ბიჭების ბედი. გასაგზავნ კანდიდატებს მუსლიმანობისაკენ მიდრეკილი ოჯახებიდან არჩევენ არა მარტო აჭარის მთიანეთიდან, არამედ კახეთში, გურიაში, ახალციხე-ახალქალაქში ჩასახლებულ აჭარლებში. შიგადაშიგ ქრისტიანებიც ურევია“ — ამბობს ბატონი ამირანი. მისი ყოველი სიტყვა საგანგაშოა, სერიოზული დასკვნების გაკეთების საფუძველი. თურქები ორმაგ მოქალაქეობასაც იღებენო, ამბობს ბატონი ამირანი, თანაც თავისუფლად, შეფერხებების გარეშე და ეს მაშინ, როდესაც სულით-ხორცამდე ქართველს, აქ დაბადებულ-დაფრთიანებულ ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობას ართმევენ. სად არის სამართალი?! ამაზე ამბობს პატივცემული მიხეილი ბათუმი ავაშენეო? როგორც ჩანს მის თვალს სიამოვნებს ბათუმის ქუჩებში მომრავლებული ჩადრი, თურქულ სასტუმროებში ტექნიკურ პერსონალად მომუშავე იშვიათი ქართველობა, იქაურ კაზინოებში დახარჯული ფული და თურქული დროსტარების დამაგვირგვინებელი ქართული „კომპოტი“ ქალის სახით — 2 ლირად.

აჭარის „სამოთხემ“ უკვე გამოაჩინა თავი. ასე იცის სპონტანურობამ — ეკონომიკურად, სოციალურად, დემოგრაფიულად და, რაც მთავარია, პოლიტიკურად გაუთვლელმა პროექტმა. მაგრამ დღევანდელ ხელისუფლებას ხვალინდელი ქათმის ნაცვლად, დღევანდელი კვერცხი ხიბლავს. ამ კვერცხიდან, რომ მახინჯი ქათამი იჩეკება, ეს მას ნაკლებად აღარდებს და არა მარტო მას, არამედ საზოგადოების დიდ ნაწილსაც, პირიქით ხოტბასასხამს მას.

ვაუ! რა სექსუალურიაო — ამბობენ თინეიჯერი გოგონები ველოსიპედის ძანდაკების ხილვისას. და მართლაც რა აქვს დასაწუნი ამ ორთვალა სექს-სიმბოლოს?

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

გუშინდელი გაზეთებიდან



### ბიძინა ივანიშვილი: „ვიღაცა ჩემი სახელით ფულს არიგებს“

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოში შემოდის ინფორმაცია, გაურკვეველი პირების მიერ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობის შესახებ. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით ხელმოწერების სანაცვლოდ არიგებენ თანხებს და იძლევიან სხვადასხვა დაპირებებს.

**„ახალი თაობა“.**

### ძნელად აღსაზრდელი ბავშვები ცალკე სკოლაში ისწავლიან

პარლამენტში უკვე ინიცირებულია კანონპროექტი, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს და კანონს სრულიად ახალი თავი ემატება არასრულწლოვანის გადამისამართებასთან (რეფერალი)ძ დაკავშირებით.

**„რეზონანსი“.**

### დიდი დაპირისპირება პროფკავშირებში!

— ჰკითხეთ ირაკლი პეტრიაშვილს, სად წაიღო სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებული ქართველი მეზღვაურების გამოსასყიდად შეგროვილი თანხა!

**„ალია“.**

◉ ინფორმაცია



### კომპენსაციები სიმინდის პროგრამით დაზარალებულთათვის

**ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის პროგრამით დაზარალებული ფერმერებისთვის კომპენსაციები სარეზერვო ფონდებიდან დაფინანსდება .**

**ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებათა პროექტის განხილვისას განაცხადა.**

**საკითხით „ქრისტიან-დემოკრატი“ გიორგი ახვლედიანი და „თავისუფალი დემოკრატი„ გიორგი ცაგარეიშვილი დაინტერესდნენ.**

**ფინანსთა მინისტრის განმარტებით, არსებობს სარეზერვო ფონდები და გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კონპენსაციები აუცილებლად დაფინანსდება.**

ინტერპრესი

◉ გიხაროდენ!

**ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის უცაბედ გაკახელებაზე რამეს ვიტყოდე, მანამდე კახურ ქუდზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ნათქვამია, რომელ ქვეყანაშიც შეხვალ, იქაური ქუდი დაიხურეო. ამ მხრივ ჩვენი პრეზიდენტი გამონაკლისი ვინმეა — ბარე ათასხუთასამდე ქვეყანა შემოირბინა, ქუდი კი არსად არავისი დაიხურა. ერთადერთი — კახელობის ცდუნებას ვერ გაუძლო და თათარიახნად შეძენილმა მეზობლებმა გაჯაგრულ თავზე მოარგეს თუ არა თუშური ნაბდის ქუდი, ეგრევე შეიშნო, — ყოველთვის მეგონა, რომ კახელი ვიყავი და ამაში ახლა ნამდვილად დავრწმუნდიო. ღმერთმანი, ოცნება აიხდინა. კახურმა ქუდმა ისე დახატა ჩვენი მიშა, კინაღამ ვინატრე — ნეტა თავიდანვე მეფედ კი არა, კახელ გლეხად დაბადებულიყო, ქვეყანას თუ ვერ შეეხიდებოდა, აღარ დააქცევდა მაინც-მეთქი.**

ახლა რაღა ეშველება, საააკაშვილს ორი საპრეზიდენტო ვადა ისე შემოადნა ხელში, კახეთი (სიღნაღის გამოკლებით, რა თქმა უნდაძ ერთხელაც არ გახსენებია. არც გაემტყუნება, რა ქნას, თბილისი ქვეყნის დედაქალაქია და ვარდების რევოლუციით დანაბარტყი მთელი სიკეთე უპირველესად მას უფეშქაშა. **„თბილისში არც ერთ ეპოქაში, არც ერთი მეფის, არც ერთი მთავრობის დროს, — განაცხადა ყვარელში „ილიას ტბის“ გახსნისას საააკაშვილმა, — არ აშენებულა და გაკეთებულა იმდენი, რამდენიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აშენდა“.** მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, საქართველო მარტო თბილისი არ არის. ამიტომ მთავრობა დედაქალაქის შემდეგ მთლიანად გადაერთო ბათუმის აღმშენებლობაზე, რომელიც ბოლო წლებში არნახულად აყვავდა და სამშენებლო და არქიტექტურული მასშტაბებით თურმე შავიზღვისპირეთის ყველა ქვეყანას გადაასწრო.

ეს აღმშენებლობის საააკაშვილისეული სტილია და ის მასშტაბებითა და ხუროთმოძღვრული თვალთახედვით საკაცობრიო ცივილიზაციის არც ერთ პერიოდს არ ესადაგება. ეს სტილი ბათუმის კვალდაკვალ უკვე დაეტყო ქუთაისს, რომელიც ქვეყნის საპარლამენტო დედაქალაქი ხდება. როგორც თავად ბატონი მიხეილი შენიშნავს, დღეს ქუთაისში ყველაზე ლამაზი შენობები, ყველაზე დახვეწილი ინფრასტრუქტურა შენდება. მაგრამ თურმე ესეც არ არის საკმარისი, რადგან გაჩნდა კითხვა — „კახეთმა რა დააშავა?“

და აი, ქვეყნის აღმშენებელი პრეზიდენტი უკვე აქ არის, კახეთში, ყვარლის მადლიან მიწაზე, სადაც მან „მცირედი დანაზოგით“ შეიძინა მამული, აიშენა სახლი და მტრების გასაგონად, რიხიანად განაცხადა: **„მომავალი წელი საქართველოში იქნება კახეთის წელიწადი. მომავალ წელს იქნება უფრო მეტი აღმშენებლობა კახეთში, ვიდრე ყოფილა საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ბოლო 7-8 წლის განმავლობაში“.** მას მიაჩნია, რომ **„ქართული სახელმწიფოებრიობის კოდი კახეთში, ალაზნის ველზეა შექმნილი. აქ, ამ ნოყიერ მიწაზე ცხოვრობენ განსაკუთრებით ნიჭიერი, შრომისმოყვარე და შეუდარებლად პატრიოტი ადამიანები, რომლებთან ერთად ჩვენ ყველამ არ უნდა დავიშუროთ თავი კახეთის ასაღორძინებლად“.**

# მალე კახეთის დიდი „აღმშენებლობა“ დაიწყება




სწორედ ამ მამულიშვილურმა გრძნობამ უბიძგა მიხეილ საააკაშვილს ბათუმქუთაისური „ტურნეს“ შემდეგ თავის მზრუნველი თვალი კახეთისთვისაც მიეპყრო და მისი გრანდიოზული აღმშენებლობის გალა პროგრამა შეემუშავებინა. თუმცა ვიდრე საქმეს შეებმებოდა, პრეზიდენტმა მამაპაპური კახური ტრადიცია გაიხსენა, არარსებული მეზობლები (მის სიახლოვეს არავინ ცხოვრობსძ „ზაოტობაზე“ დაპატიჟა, თავად კი, პურმარილი რომ „ცვრიანი“ გამოსვლოდა, სურსათ-სანოვაგის შესაძენად თელავის საქვეყნოდ ნაქებ ბაზარს მიაშურა.

მინდა აღვწერო, რაც იმ ბაზარში მოხდა, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, იქ ნანახისა და განცდილის დასურათხატება ძალიან გამიჭირდება. **თავის საპრეზიდენტო პერიოდში საააკაშვილი სად აღარ ყოფილა და იქ დადგმულ უნიკალურ სპექტაკლებში რა როლი აღარ უთამაშია, მაგრამ თელავის ბაზარში რო ითამაშა, ამისთანა ტყუილია.** პრეზიდენტის გამოჩენამ განსაკუთრებული აჟიოტაჟი ბაზარში მოვაჭრე ხანდაზმულ დედაკაცებში გამოიწვია. „ეს ვინ მოსულა, ხალხოო!“ — იყვირეს ერთხმად და ხალხის რჩეულზე ისეთი „იერიში“ მიიტანეს (მათგან უფრო გაბედულები საააკაშვილს ეხუტებოდნენ, შედარებით მორიდებულნი — მილაციცებით კმაყოფილდებოდნენძ, ქვეყნის ჩაუქ თავკაცს კახური ფოხალი კალათა ლამის ხელიდან გააგდებინეს.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა თავად ვაჭრობის პროცესი, რაც პრეზიდენტმა თავისთვის ჩვეული უზადო ოსტატობით შეასრულა. როცა დახლთან მოვაჭრე თუშმა გუდის ყველი 15 ლარი დაუფასა, გულში შიშმა გამკრა, მიშას ჯიბეში ამდენი ფული რომ არ აღმოაჩნდეს, ხომ შევრცხვებით-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, პრეზიდენტი გლეხს არც შევაჭრებია (ეტყობა, ივანიშვილის გარდა სხვებსაც არ უჭირთ ფულიძ, მოთხოვნილი თანხა ღიმილით მიუთვალა და ასევე გაღიმებულმა 16-ლარიან სამწვადეზე ხალისით გადაინაცვლა.

მაგრამ მთელ ამ სპექტაკლში, რომლის დადგმა დიდ მაესტროსაც (გვარის დასახელებისგან თავს შევიკავებძ გაუჭირდებოდა, ყველაზე ღირებული მაინც პრეზიდენტის მამულში მდიდრულად გაშლილი სუფრა აღმოჩნდა, სადაც პრეზიდენტი ახალგაცნობილ მეზობლებს, რომელთა სახელიც კი არ იცოდა, საკუთარი ხელით გამოხდილი „ჭაჭითა“ და უნიკალური კახური „საფერავით“ გაუმასპინძლდა. სუფრას, რაღა თქმა უნდა, სუკის მწვადები და ქვაბიდან ახლად ამოყრილი ალაზნის მურწა ახალისებდა, ერთადერთი, რაც აკლდა, იყო სამზარეულოში მოფუსფუსე წინსაფრიანი, მომღიმარე დიასახლისი, რომელიც სტუმრებს მათთვის გაწეული გულითადობით ოჯახურ სითბოს აგრძნობინებდა. წარმოდგენის ავტორებს როგორ გამორჩათ მხედველობიდან სპექტაკლის ეს უმთავრესი პერსონაჟი, ჩემთვის დღემდე გაუგებარია.

არა უშავს, მასპინძლის მიერ უნებლიეთ დაშვებული შეცდომა ერთგვარად გადაფარა თამადის მიერ დიდი სასმისით წარმოთქმულმა უებრო სადღეგრძელომ. **„მეგობრებო,** — განაცხადა მან არაორაზროვნად, **— ღმერთმა ინება, რომ ჩვენს მეზობლად დაასახლა პრეზიდენტი საააკაშვილი. ეს ჩვენთვის დიდი წყალობაა. გაუმარჯოს ღმერთს და მასთან ერთად გაუმარჯოს საააკაშვილს!“**

ამის თქმა იყო და პრეზიდენტს კახური ქუდი საზეიმოდ დაახურეს, რაც, როგორც უკვე ვთქვი, საააკაშვილმა ღირსეულად შეიფერა. იმ მომენტში ისეთი მძლე და ბუნებრივი იყო თანამეინახეთა აღფრთოვანება, რომ კახელებისთვის საააკაშვილის მიერ ნაფეშქაშარი აღმშენებლობის პროგრამის რეალობაში ეჭვიც არავის შეპარვია. **ან რატომ უნდა შეპარვოდათ, პრეზიდენტს ხომ თავისი მამულიშვილური მოღვაწეობის მთელ პერიოდში ერთი ტყუილიც არ დასცდენია(!).**

**მით უფრო არ იკადრებს ტყუილს ახლა, როცა კახეთის მიწაზე მკვიდრად დაფუძნდა, მამულის მოვლაში ოფლი ჩაღვარა, მადლიანი რქაწითელი საკუთარი ხელით დაწურა და ასევე საკუთარი მარჯვენით გამოხდილი „ჭაჭაც“ იგემა. ეგ კი არა, ისიც საფიქრებელია, მამულისა და მეზობლების სიყვარულმა პრეზიდენტობაზე გული არ აუცრუოს, ქვეყნის მართვაზე უარი არ ათქმევინოს (გადადგეს!) და მთელი თავისი სიჩაუქე ვაზისა და ღვინის სამსახურს არ შეალიოს. ამის შემდეგ როგორ განვითარდება მოვლენები, რამდენად აღსრულდება კახეთის აღმშენებლობის საააკაშვილისეული ზღაპარი და გაუცივდებათ თუ არა გული ნეტარპრეზიდენტის მიმართ თელავის ბაზარში მოვაჭრე ტარაბუცა ქალბატონებს, ამას უკვე მომავალი გვიჩვენებს.**

ოთარ ხუციშვილი

◉ ინფორმაცია

## უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები საქართველოში უვიზოდ შემოვლენ

**ცვლილებების თანახმად, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე, რომელიც არის იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც საქართველოში შემოსასვლელად ესაჭიროება ვიზა, უფლებამოსილი იქნება ვიზის გარეშე გადმოკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და იმყოფებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე არაუმეტეს 30 დღისა. ამასთან, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა იქნება საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძველი.**

**ასევე, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხოეთის მოქალაქეს ენიჭება სახელმწიფო სასწავლო გრანტის და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლება. სახელმწიფოს მიერ ზოგადი განათლების დაფინანსება გავრცელდება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხოეთის მოქალაქეზეც**

**სპორტის შესაბამის სახეობაში საერთაშორისო ფედერაციის თანხმობის შემთხვევაში, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხოეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სპორტულ შეჯიბრებებში საქართველოს სახელით ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.**

**ამასთან, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მიღება შეეძლება პირს, რომელიც დაბადებულია საქართველოში და ცხოვრობს უცხოეთში ან წარმოშობით არის ქართველი. ასეთი მოწმობისთვის კი, მათ შესაბამის ქვეყნებში საქართველოს საკონსულოს უნდა მიმართონ.**

ინტერპრესი

◉ წკეპლიკა

# „ვარდების რევოლუციის“ კიდევ ერთი ძლევამოსილი წლისთავი

**პოლიტიკაში მე რა შორს გამხედავი ვარ, პროგნოზიორად როგორ გამოვდგები, მაგრამ ერთი სატრაბახო თუ თავმოსაწონი, ღმერთმანი, მეცა მაქვს: ქვეყნის ამჟამინდელი უმაღლესი პირის არსი მე მაგის გაპრეზიდენტებამდე „გავკვნიტე“, ეგ ვაჟბატონი მე თავიდანვე „არ მიჭამია“...**

საამისოდ სულ ცოტა სამ მაგალითს დავასახელებ: ჯერ კიდევ „რაღაც“ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტიდან რომ განაცხადა — პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს თავის დაცვიანა საკრებულოს წინ, თავისუფლების მოედანზე აღარ გავატარებო; ეს მარტო სუბორდინაციის დარღვევად კი არა, უტაქტობად და კადნიერებადაც გამოჩნდა — როგორი მეთაურიც არ უნდა ყოფილიყო ქვეყნისა მაშინდელი შევარდნაძე, იმის ხელისუფლებაში მყოფ „დაბალსაფეხურიანს“ ამგვარი ნათქვამი არ ეკადრებოდა; თვითონ რომ ახლა ამხელა დაცვით დაბრძანდება და ყველგან მისვლისას (მართლაც რომ ყველგან!ძ ამდენ უხერხულობას უქმნის მოსახლეობას, ეს ხომ კარგია! წარმოიდგინეთ, რომ ახლანდელმა საკრებულოს თავმჯდომარემ ზაალ სამადაშვილმა გაბედოს — საააკაშვილსა და იმის დაცვას ჩემს წინ არ გავატარებო?..

მეორე მომენტი გახლდათ, როცა მიხეილ-ბატონი იუსტიციის მინისტრი გახდა და სამინისტროს შენობის შესასვლელთან, რუსთაველის გამზირზე, ორი გამოპრანჭულ-გაკრახმალებული გუშაგი დაიყენა, თითქოს ის სამინისტრო ლენინის მავზოლეუმი ყოფილიყოს... ე, მაშინ გავიფიქრე — ეს კაცი ცოტა ვერ უნდა იყოს და აწი და აწი რა გვეშველება-მეთქი...

მესამედ უკვე გაპრეზიდენტებულმა შემაფიქრიანა გვარიანად — ახლად „გამეფებული“ რომ გელათში გავარდა და დიდი დავითის საფლავზე დაიფიცა, საქართველოს გავამთლიანებო; რა, არ უნდა მეფიქრა — ჯერ გააერთიანე ეს უბედური ქვეყანა და გელათში მერე ჩადი და უპატაკე იმ მკლავკურთხეულ და სულკურთხეულ აღმაშენებელს-მეთქი? გააერთიანა კი არა, ნეტავ კიდევ მეტად არ დაეპატარავებინა... „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმანო“ — იმ ყოველში საააკაშვილისთანა კაცი არ იგულისხმებოდა ალბათ... და კიდევ, ერთგულება საფლავზე იმიტომ შეჰფიცა გელათში, რომ მერე და მერე თბილისის ცენტრიდან იმისი დიდებული ძეგლი გამოეგორებინა და იქ ველოსიპედი შეეგორებინა?..

დიახ, მე იმთავითვე არა მიჭამია მიშას მიშობა და მიშასგან „შობა“ და დაე, მჭამელმა ჭამოს...

ბერდია ბედოიძე

ხელოვანი


ილია პატაშური

# ფერთა ჰარმონია

## ილია პატაშურის დაბადების 70 წლისთავის გამო

**ნიჭი ადიდებულ მდინარესა ჰგავს, მას ვერ აშინებს კაშხალი და ჯებირი. მოედინება და გზადაგზა ძლიერდება მწვერვალთა ცრემლითა და ოფლით ნასაზრდოები... ასე ყოფილა, მდინარეები, დედა მთების ძუძუნაწოვნი, მარადიულად ბარისაკენ მოიჩქარიან.**

მაღალი მთებიდან მოწყვეტილი მეწყერივით დაეშვა ის ადიდებული ნიჭი, რომელსაც ილია პატაშური ჰქვია. დღეს უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი მხატვარია იგი, ერთ ბიოგრაფიაში ვერჩატეული დამსახურებებით, აურაცხელი გამოფენებით, სხვადასხვა აკადემიათა წევრობით, ჯილდოებით... და რაც ყველაზე მთავარია, მხოლოდ საკუთარი ხელწერით გამდიდრებული ვეებერთელა სამყაროთი.

ნიჭი თანდაყოლილი, სისხლისმიერი ფენომენია და ხელოვნების სხვადასხვა დარგში სასწაულმოქმედი შადრევანივით ამოხეთქავს ხოლმე:

სიტყვა – მწერლობაში,
რიტმი – მუსიკაში,
ფერი – მხატვრობაში.

ჭეშმარიტი პოეზია ბრმა ყოფილა ჰომეროსივით, ემოციებით ნასაზრდოები. მუსიკა, როგორც ყრუ ბეთჰოვენი, მხოლოდ გულისცემის რიტმებს მოყურიადე. დიდი მხატვრობა, ჩვენი დიდი ფიროსმანივით მარადიულად გზაარეულია და


დედის პორტრეტი

მოზარბაცე ფერებნაცხები.

პოეზიაში მუსიკის შეჭრა არც თუ ისე იშვიათია და ვერც მუსიკა იარსებებს უპოეზიოდ, მაგრამ მხატვრობას რომ წარეტაცოს ორივე ერთად... თანაც ცვრიანი ფერებით და სურნელებით აევსოს ისინი, ეს ნამდვილად იშვიათია.

და ვიდრე სიტყვის თქმას, თუნდაც კალმის პირველ მოსმას გავბედავდე, ილია პატაშურის შემოქმედების შესახებ მინდა ვაღიარო ჩემი ძველი, კლასიკური შეხედულებები, იმ ვეებერთელა სამყაროზე, რომელსაც მხატვრობა ჰქვია. ფერწერა, ჩემთვის სხვა სახელდებული – ფერთა ღაღადი – მხოლოდ რეალისტური, მხოლოდ აკადემიური! ბავშვობას ხომ ვერავინ და ვერსად გაექცევა, მეც მოვდიოდი ჩემი ბავშვობიდან და მჯეროდა ის, რაც თვალის ახელიდან და სამყაროს სულ პირველი გაუბედავი შეცნობიდან მომქონდა – რეალიზმი, მხოლოდ რეალიზმი და მეტი არაფერი!

...და ერთ მშვენიერსა თუ საბედისწერო დღეს, ილია პატაშურის სამყაროში შევიხედე. შევიხედე და თავზარი დამეცა – ღმერთო მაღალო, რა იყო ეს?! ვხედავდი და აღვიქვამდი, ფერთა ჰარმონიით უკვე გადამთვრალი გონებით, რომ შევეფეთე რაღაც დიდსა და გასაოცარს! მხატვარს დიდი ხანია გადაელახა ის ბარიერი, რომელიც რეალიზმს იტევდა და ახლა თავისუფლების ფრთებშესხმული დაფრინავდა და რაც ყველაზე გამაოგნებელი იყო, არა ქაოსურად, არამედ მკაცრი კოსმიური წესრიგით!

ხელთუქმნელი სამყარო, არა მარტო საოცარი, ცვრიანი ტილოებით, არამედ ერთ გამაოგნებელ მთლიანობაში შემავალი ნიჭით, ვაჟკაცობით, ერისშვილობით, დღევანდელობისათვის უკვე იშვიათობად ქცეული, დიდი და თანაც უბრალო ადამიანობით.

გაოგნებული დგახარ მისი ტილოების წინ და ვერ აღწერ რა გრძნობა გეუფლება. გინდა ერთდროულად ტირილი და სიცილი, სიმღერა და გოდება, ფერები ჰარმონიულად დასრიალებენ ტილოებზე, სულს აიყოლიებენ და ამაღლებაში მიგაქანებს ყოველი შტრიხი. ხელოვანის შინაგანი სულიერი ბრძოლა და ჭიდილია გადმოღვრილი ტილოებზე ხან ნაზი, სიზმარეული, ქალის სუნთქვასავით რბილი და თბილი, ხანაც მრისხანებასავით მუქი და ცივი ფერებით. საკუთარი შედევრების განლაგებაშიც კი ორიგინალურია და თანაც კონტრასტული თავად მხატვარი, აქ ხომ მოპირდაპირე კედლებიდან ერთურთს მისჩერებიან „კრწანისი“ თავისი მუქი გოდებით, უუნაზესი ფერებით ამეტყველებული, ჭავჭავაძიანთ ქალების კაბებისა და მარაოთა შრიალით. „დიდგორის“ აღტკინება თუ „ქართველი ქალის“ სათნო სახე, სადაც გაშმაგებული სინაზე და ამაოება გამარჯვების წყურვილი ეჭიდებიან ერთურთს.

ხშირად ამბობენ: პორტრეტის ხატვა ყველაზე უფრო რთული და წამგებიანია მხატვრისთვისო. მართლაც დიდოსტატი უნდა იყო, რომ შინაგანი სხივით ამეტყველებული თვალები გადაიტანო ტილოზე და იქ არა მარტო ფოტოგრაფიული, არამედ ემოციებით დამუხტული სახე დატოვო. უნდა ნახო ილია პატაშურის „დედის პორტრეტი“ და მთელი კრიტიკული აზროვნება დაადგება სრულიად სხვა მიმართულებას. უხეში შედარება გამოვა, აზრთა ჭიდილის მიმართულებანი შეადარო თავისებურებას ხელოვნებისას, სადაც ძველის სიახლეა ცინცხალი, სადაც მოხუცი ქალის ნაოჭები ისე გიზიდავენ მოსაფერებლად, ძნელია თავი შეიკავო ერთი სურვილისაგან, მიხვიდე ახლოს, გაარღვიო დროისა და სივრცის არეალი და ჩაეხუტო არა მარტო კონკრეტულ პიროვნებას, არამედ ზოგადად სახეს დედისას... დაღლილი ხელები რომ ჩამოუსვენებია, იმ კალთაში თავი ჩაუდო და მისი ჩამჭკნარი თითების შეხებამ ანთეოსივით აგავსოს სიცოცხლის ენერგიით. რა უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოს ვინმეს, ილია პატაშურის „დედის პორტრეტი“ არა მარტო დედისეული ფერებითაა მდიდარი, არამედ მას დედის სურნელება უდის, მიწის, მზისა და ბალახის სუნის მინამგვანი. ზუსტად იგივე შეიძლება გაიმეორო „მამის პორტრეტის“ შესახებაც, სადაც მამის დაღლილი, გაცრეცილი თვალებიდან მარტო დიდი ხელოვნება კი არა, დიდი მონატრება, დიდი ტკივილი და დიდი სიყვარული იღვრება.

შეხედავ „სოფლის სევდას“, ანდა უფაქიზესი, მზიანი ფერებით სავსე და ამ ფერებით სიყვარულახსნილ, მხატვრის მშობლიურ სოფელ – „ხევშას“ და მოგწყურდება ამ ყველა ფერთა შემოქმედ მხატვართან ხელიხელჩაკიდებული ახვიდე ჩარჩოში მომწყვდეულ, მერცხლის ბუდესავით კლდეზე მიმყუდროებულ პაწია სოფელში და იმ სიმაღლიდან შენს ნისლებივით დაძენძილ საქართველოს გადმოხედო.

ყოველ ტილოს საკუთარი ბიოგრაფია აქვს, იგი უკვე დამოკიდებლად აგრძელებს საკუთარ გზას, მიდის და თან მიჰყვება ხელოვანის ფერებისა და თითების სითბო.

ილია პატაშური დიდების კვარცხლბეკზე უკვე აიყვანა მისმა „სულიერმა შვილმა“, რომელსაც სახელად „დიდგორი“ ჰქვია. ეს უზარმაზარი ტილო ფერებით დაწერილი ისტორიაა მეომარი საქართველოსი. შეხედავ ამ საოცარ დინამიკურობას და არ შეიძლება ყიჟინის ხმა არ შემოგესმას, ფარების და შუბების ჩახა-ჩუხმა არ წაიღოს ყურთასმენა. ეს წარმოსახვაა, რომელსაც დიდოსტატი გაიძულებს, რადგან რახანია არავის გაუგონია ფარისა და შუბის შეჯახების ხმა. შენ მაინც გესმის!

„დიდგორის“ წკრიალა ფერებით ამაღლებული და ფრთაშესხმული სული უეცრად დაენარცხება გოდების ველზე, რომელსაც „კრწანისი“ ჰქვია. აქ უკვე მინავლულია დიდგორული შემართება. მოლანდებები დაფათურობენ ამ გლოვის ველზე, კვნესის ერის ტკივილი, კივიან უჩინარქმნილი ზარები... და ამ საზარელ გლოვაში მაინც გამოკრთის პატარა შუქი, როგორც მომაკვდავის გულის სიღრმეში მიმალული იმედის მცირედი სხივი. ეს ფერია, გადარჩენის სურვილითა და იმ სასოებით აკიაფებული, მომავლის იმედი რომ ჰქვია. ამ საზარელ ქაოსში უნდა შეინიღბოს სიცოცხლის ფერი... და ინიღბება კიდეც, მაგრამ არსებობს!

და ასე დაუსრულებლად და დაღალავად შეიძლება გაგრძელება. ყოველი ნახატის მიღმა სრულიად ახალი სამყარო იხსნება.

მიდიხარ ილია პატაშურის კოპწია სამყაროდან და თან მიგყვება აფორიაქებული და აქამდე უცნობი ტკივილითა და სიხარულის აღვსილი სული. მიდიხარ და გჯერა, რომ ჯერ კიდევ არსებობს ქართული სული, მებრძოლი და შეუპოვარი, მარადიულად ჯაჭვგაუხდელი და დაუმარცხებელი. სული, ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე, უცხოტომელთა წაბაძვას მიჩვეული ზოგიერთი ქართველის მიერ შემოღებული, მი-მოჩაჩული სამოსის გვერდით, ქართულ ჩოხაში გამოწყობილი რომ დგას. ეს ის მარადიული სულია, რომელიც ლექსით მეტყველებს, სიმღერით გლოვობს და ფერებით სუნთქავს. სული, რომელსაც ასაზრდოებენ რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ფიროსმანი, გონაშვილი, გუდიაშვილი.. ამ მარად ქართული და უკვდავი სულის ერთი შტრიხია ილია პატაშური, თავისი ფერებივით ორიგინალური და განუმეორებელი.

ვინმეს გადაჭარბებულად რომ არ მოეჩვენოს ის ქება-დიდება, რაიც დიდი მხატვრის სასწაულმოქმედ ფერებთან შეხების შემდეგ აფორიაქებული გრძნობებისა და მათი სიტყვაში აჟღერების მცდელობის შედეგია, თავადაც უნდა ნახოს და განიცადოს ის ვნებათაღელვა, რასაც დიდოსტატის სამყაროში შეღწევა იწვევს. საკუთარი თვალით უნდა ნახოს შედეგი იმ წვისა, რაიც მარადიულობის გზას მიუყვება.

**თამარ ჯაჭვაძე.**

**რედაქციისგან: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუბილეს ულოცავს ცნობილ მხატვარ-ფერმწერს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ ილია პატაშურს და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს მას.**

წარდგინება

# ეძებენ სამშვიდობო გზებს

**ქართულ-ოსური კონფლიქტი განსხვავებულია ყველა სხვა კავკასიური კონფლიქტისგან და არასწორი იქნებოდა მისი დაყვანა წმინდა ეთნიკურ ან თუნდაც ეთნოტერიტორიულ კონფლიქტამდე. ქართველებს და ოსებს ბევრი აქვთ საერთო. ამ საკითხთან დაკავშირებით 2011 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდში გაიმართა კვლევითი პროექტის „ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიების“ წარდგინება.**

პროექტი მიმდინარეობდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდში 2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის ოქტომბრის ჩათვლით.

პროექტი განხორციელდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმის მხარდაჭერით.

პროექტის მიზანი იყო შესწავლილიყო ქართულ-ოსურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის პოტენციალი. პროექტში მონაწილეობდა სამი ქართველი მკვლევარი – გიორგი თარხან-მოურავი, ივლიანე ხაინდრავა და რევაზ გაჩეჩილაძე.

სამშვიდობო პროექტში მონაწილე ყველა ექსპერტი იმ აზრისაა,




რომ ოსეთთან დაკავშირებული პრობლემები უახლოეს პერიოდში ვერ გადაწყდება, ვერც კონფლიქტის გადაჭრის და ვერც დევნილთა უმრავლესობის შინ დაბრუნებისა თუ ქონების ხელშეუხებლობის თვალსაზრისით.

**ამის მიზეზი კი მრავლადაა. მაგალითად, საქართველოს და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის პოზიციების პრინციპული შეუთავსებლობა;**

**რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს სამხრეთ ოსეთში მმართველობის კონტროლსა და იქ სამხედრო ბაზების განთავსებას.**

გამოკითხულთა 40 პროცენტს მიაჩნია, რომ ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის გაუარესდა ომამდელთან შედარებით. ასეთ აზრს იზიარებენ როგორც ქართველები, ისე ოსები. კითხვაზე – „ვის ინტერესებშია ქართულ-ოსურ ურთიერთობებში არსებული მდგომარეობის შენარჩუნება? – ქართველებმაც და ოსებმაც რუსეთზე მიუთითეს. ამის გარდა, არის სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხებიც. ასეთია მაგალითად ის, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა შემცირდა, რაც ოსი ექსპერტების ნაშრომებიდანაც ჩანს. ამასთან, მცირდება ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობაც.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდში **„ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიების პროექტი“** და ამავე სახელწოდების წიგნის წარდგენამ წარმატებით ჩაიარა, ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ დაესვათ მწვავე კითხვები და პასუხებიც მიეღოთ.

**ირინა ოზოლაშვილი**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# უკრაინა და საქართველო: რევოლუციის ასეთი სხვადასხვაგვარი ბედი

***ნოემბერში ორ თარიღს ჰყოფს ერთი წელი და ერთი დღე. 2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოში ედუარდ შევარდნაძემ, რომელსაც 1995 წლის ნოემბრიდან ეკავა პრეზიდენტის პოსტი, გამოაცხადა გადადგომის შესახებ. ქუჩებში გამოვიდა ათასობით ადამიანი. საქართველომ იზეიმა „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვება.***

***2004 წლის 22 ნოემბერს კი, უკრაინის პრეზიდენტის კენჭისყრის მეორე ტურის მომდევნო დღეს, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ვიქტორ იუშჩენკო და ვიქტორ იანუკოვიჩი, გასაგები გახდა, რომ ოფიციალური წინასწარი შედეგები განსხვავდება ეგზიტპოლის შედეგებისგან. დაიწყო „ნარინჯის რევოლუცია“, რომელმაც მიგვიყვანა ახალ კენჭისყრამდე და ვიქტორ იუშჩენკოს გამარჯვებამდე.***

***ბი-ბი-სის კორესპონდენტები – სვეტლანა დოროში კიევში და ნინო ახმეტელი თბილისში – წერენ იმის შესახებ, თუ სად მიგვიყვანა ორმა ფერადმა რევოლუციამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში იმ მოვლენებიდან 7 და 8 წლის შემდეგ შესაბამისად.***

## ხელისუფლება. გამარჯვებულები და ნაგებულები

### უკრაინა

ხელისუფლების სათავეში ხუთი წლის ყოფნის შემდეგ ვიქტორ იუშჩენკოს მხარდაჭერა 50 პროცენტზე მეტიდან 2005 წელს დაეცა 5,5 პროცენტამდე, რომელიც მან მიიღო პრეზიდენტის არჩევნებში 2010 წლის დასაწყისში. ხელისუფლება გადავიდა მის ოდესღაც შეურიგებელ მოწინააღმდეგესთან – ვიქტორ იანუკოვიჩთან – „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ანტიგმირთან.

7 წლის განმავლობაში რევოლუციის შემდეგ ორჯერ მოეწყო პარლამენტის არჩევნები, მათ შორის ვადამდელიც. არჩევნები გაიმართა 2007 წელს, მაშინ გამარჯვება მოიპოვა იანუკოვიჩის რეგიონების პარტიამ, რომელსაც იუშჩენკომ ამის შემდეგ შესთავაზა სათავეში ჩადგომოდა მთავრობას.

იუშჩენკოს დროს პრემიერ-მინისტრად ყველაზე დიდხანს იმუშავა იულია ტიმოშენკომ – 2005 და 2007-2010 წლებში. ნარინჯისფერი რევოლუციიდან 2010 წლის პრეზიდენტის არჩევნებამდე მთავრობას ორი ადამიანი ხელმძღვანელობდა – იულია ტიმოშენკო და ვიქტორ იანუკოვიჩი. უკანასკნელი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პრემიერ-მინისტრს არ ცვლიდა. ამ თანამდებობაზე უკვე წელიწადნახევარზე მეტია ნიკოლაი აზაროვი მუშაობს.

იანუკოვიჩმა გააკეთ ის, რაც ვერ შეძლო ვერც ერთმა პრეზიდენტმა დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში: მან შექმნა ხელისუფლების ვერტიკალი, რომელიც ჩამოაყალიბა მისი პოლიტიკური ძალის ან სატელიტების წარმომადგენლებისგან.

იუშჩენკოს გუნდი, 2005 წლიდან ჩაეფლო საშინაო კონფლიქტებში, რასაც უწოდებენ ერთ-ერთ მიზეზს, რის გამოც პრეზიდენტმა ვერ შეძლო განეხორციელებინა დაპირებული რეფორმები და შედეგად დაკარგა პოპულარობა.

იანუკოვიჩის ხელისუფლების განმტკიცების მწვერვალი იყო 1996 წლის კონსტიტუციის მოქმედების აღდგენა, რომელმაც ქვეყანას დაუბრუნა მმართველობის საპრეზიდენტო-საპარლამენტო ფორმა.

რეგიონების პარტია და იანუკოვიჩი, სოციოლოგიური გამოკვლევის თანახმად, აგრძელებენ ლიდერობის შენარჩუნებას პოპულარობის რეიტინგში. თუმცა მოსახლეობის მიერ მათი მხარდაჭერა შემცირდა სულ ცოტა ორჯერ 2010 წლის დასაწყისთან შედარებით, როდესაც ამჟამინდელი პრეზიდენტი მოვიდა ხელისუფლებაში.

### საქართველო

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის არჩევნებზე ხმების 96 პროცენტი მოაგროვა, რითაც გახდა ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი.

მაგრამ რევოლუციიდან ოთხი წლის შემდეგ, 2007 წლის ნოემბერში, პარლამენტის წინ მოედანზე კვლავ შეიკრიბა ხელისუფლების უკმაყოფილო ათასობით ადამიანი.

რამდენიმე დღის შემდეგ ოპოზიციის მიტინგი დაარბიეს. ხელისუფლებამ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა შემოიღო, სააკაშვილმა კი დანიშნა პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები.

2008 წლის 5 იანვარს სააკაშვილმა ხმების 53,4 პროცენტი მოაგროვა და ხელახლა იქნა არჩეული საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე.

იმავე წელს მმართველმა პარტიამ – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – პარლამენტის არჩევნების დროს მიიღო ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში. ამის შემდეგ რესპუბლიკაში დაიწყეს საუბარი ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების შესახებ.

2012 წლის პარლამენტის და 2013 წლის პრეზიდენტის არჩევნებს გამოცდას უწოდებენ ქვეყნისთვის. არჩევნების შემდეგ ძა-





ლაში შევა საქართველოს ახალი კონსტიტუციაც, რომელიც ახდენს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირებას ქვეყნის პრემიერ-მინისტრისკენ.

სააკაშვილს არ აქვს უფლება მიიღოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მესამე ვადით.

ანალიტიკოსები გამარჯვებას პარლამენტის არჩევნებში უწინასწარმეტყველებენ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“.

ეს კი ნიშნავს, როგორც ამის შიში ოპოზიციას აქვს, რომ სააკაშვილს შეუძლია კვლავ დარჩეს ხელისუფლების სათავეში – ამჯერად უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში.

## ევროატლანტიკური ინტეგრაცია. სწრაფი წევრობის იმედის გარეშე

### უკრაინა

ნატოს წევრობის პერსპექტივა რეალური იყო ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობის დროს.

მაგრამ 2006 წელს ვიქტორ იანუკოვიჩმა, როდესაც პრემიერ-მინისტრი იყო, ბრიუსელში გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ უკრაინას არ აქვს განზრახული შევიდეს ნატოში.

თავისი ოპოზიცია მან არ შეცვალა პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის დროსაც.

იუშჩენკოს დროს უკრაინა შევიდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში. იანუკოვიჩის გუნდმა კი, თავის მხრივ, უკვე პრაქტიკულად დაამთავრა მოლაპარაკება უკრაინის ასოციაციის შესახებ ევროკავშირთან და ვაჭრობის თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ.

მაგრამ ევროკავშირი არ დაეთანხმა ტექსტში უკრაინის წევრობის პერსპექტივას ევროკავშირში, რასაც დაბეჯითებით მოითხოვდა კიევი.

ამჟამად უკრაინა ელოდება ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, მაგრამ ექსპერტების უმრავლესობა ამ პერსპექტივასთან დაკავშირებით სამწუხარო პროგნოზებს აკეთებს.

ევროკავშირი ხელშეკრულების ხელმოწერას პირდაპირ უკავშირებს ექსპრემიერის იულია ტიმოშენკოს ბედს, რომელსაც 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს ხელისუფლების და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ბრალდებით.

### საქართველო

საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურაში – ქვეყნის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის პრიორიტეტია.

ამის თვალსაჩინო დადასტურებაა – ევროკავშირის დროშა, რომელიც ფრიალებს საქართველოს დროშის გვერდით ქვეყანაში პრაქტიკულად ყველა ადმინისტრაციულ შენობასთან.

იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ნატოს შემადგენლობაში არ არიან, საქართველო დღეს ავღანეთში ოპერაციის მონაწილეთა რაოდენობით მეორე ადგილზეა.

2008 წელს ბუქარესტის სამიტზე საქართველოს დაჰპირდნენ ნატოს წევრობას სამომავლოდ, მაგრამ უარი უთხრეს ამ მიმართულებით მოქმედებათა კონკრეტული გეგმის მინიჭებაზე.

რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, თბილისის თანამშრომლობა ნატოსთან უფრო მჭიდრო გახდა: შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია საქართველოს დახმარებისთვის მის მისწრაფებებში, გახდეს ალიანსის წევრი.

მაგრამ აგვისტოს ომის შედეგებმა, მათ შორის რუსეთის ჯარების ყოფნამ საქართველოსგან გამოყოფილი რეგიონების ტერიტორიებზე, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ქვეყნის ალიანსში შესვლის პერსპექტივა კიდევ უფრო შორს გადასწია.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ყველა დიდ როლს უთმობს ევროკავშირს, რომლის შუამავლობითაც ხელი მოეწერა შეთანხმებას რუსეთთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის აგვისტოში.

საქართველოს აქვს მოლაპარაკების დაწყების იმედი ევროკავშირთან ყოვლისმომცველი და ღრმა თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნასთან დაკავშირებით უკვე წლის ბოლომდე.

## ადამიანის უფლებები. თავისუფლებათა შეზღუდვა

### უკრაინა

ვიქტორ იანუკოვიჩის მმართველობის დროს ჟურნალისტების, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობისთვის ლამის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი უწოდონ.

ამის ნიმუში გახდა ოპოზიციური ლიდერის ვიქტორ იანუკოვიჩის უკრაინის პრემიერ-მინისტრად დანიშვნა 2006 წელს.

მაგრამ იანუკოვიჩის მოსვლასთან დაკავშირებით პრეზიდენტის პოსტზე სამართალდაცვის ორგანოები საუბრობენ უკრაინაში დემოკრატიისა და თავისუფლებათა შეზღუდვის შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაციის „ფრიდომ ჰაუსის“ დასკვნით, რომელიც 2011 წლის ზაფხულში გამოქვეყნდა, უკრაინაში დაბლა დაეცა დემოკრატიის დონე, გაძლიერდა უშიშროების სამსახურებისა და სხვა სამართალდაცვის ორგანოების როლი.

მსოფლიოს ქვეყნების დემოკრატიის რეიტინგში 2010 წელს უკრაინამ 67-ე ადგილი დაიკავა – 2008 წელთან შედარებით 14 პუნქტით დაბლა დაეშვა. რეიტინგის ავტორები მიიჩნევენ, რომ „დემოკრატიული მიღწევები, რომლებიც მოხდა ნარინჯისფერი რევოლუციის შედეგად, ამჟამად საფრთხის ქვეშაა“.

ასევე 2010 წლის შედეგების მიხედვით უკრაინამ დაკარგა „უარესთა შორის უკეთესის“ არაფორმალური სტატუსი პოსტსაბჭოთა სივრცეში და წინ მოლოდოვა გაუშვა.

ყველაზე მეტად უკრაინის მაჩვენებლები გაუარესდა კატეგორიებში „მთავრობის ფუნქციონირება“, „საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი, „პოლიტიკური კულტურა“ და „მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესში“.

2011 წლის ოქტომბერში ჟურნალისტურმა სამართალდაცვის ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“, თავის ყოველწლიურ ანგარიშში განაცხადა, რომ უკრაინას სიტყვის თავისუფლების დონის მიხედვით მსოფლიოში 89-ე ადგილი უკავია.

### საქართველო

რევოლუციის შემდგომდროინდელი რეფორმების შეფასებანი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოში მეტად სხვადასხვაგვარი და ერთი მეორის საპირისპიროა.

პოლიციის რეფორმამ და ბრძოლამ კრიმინალებთან მიგვიყვანა დანაშაულობათა დონის შემცირებასთან.

მაგრამ სამართალდამცველები აკრიტიკებენ ხელისუფლებას მძიმე პირობების გამო გადავსილ ქართულ ციხეებში, აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავენ ქვეყნის სასამართლო სისტემის ნაკლოვანებების შესახებ.

2011 წლის დასაწყისისთვის, სამართალდამცველთა სიტყვებით, საქართველოში პატიმართა ოდენობამ 23 ათას კაცს გადააჭარბა. ქვეყანას ევროპაში უკავია მეორე და მსოფლიოს 216 ქვეყანას შორის მეექვსე ადგილი პატიმართა ოდენობის მიხედვით 100 ათას კაცზე.

სამართალდამცველები ასევე მიუთითებენ პრობლემებზე სიტყვის თავისუფლებისა და საშინაო პოლიტიკური ბრძოლის სფეროში.

2007 წლის 7 ნოემბერს მიტინგის დარბევის შემდეგ მკაცრი დარბევა პროტესტანტებისა განმეორდა 2011 წლის 25-დან 26 მაისის ღამით, რაც კიდევ ერთი არასასიამოვნო ეპიზოდი გახდა სააკაშვილის მთავრობისთვის.

გაფრთხილება გაეთავისუფლებინათ ტერიტორია, რომელზეც იგეგმებოდა აღლუმი დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, სამართალდამცველების სიტყვებით, არ ამართლებს პოლიციური სპეცნაზის მოქმედებას, რომელმაც გამოიყენა ზედმეტი ძალა დემონსტრანტების დარბევის დროს.

ბეჭდვითი მასობრივი ინფორმაციის საშუალების მრავალფეროვნების მიხედვით, მედიასივრცის ძირითად ძალებად რჩება სამი საერთო ეროვნული არხი: საქართველოს პირველი საზოგადოებრივი მაუწყებლობის არხი, აგრეთვე ამჟამინდელი ხელისუფლებისადმი ლოიალური ტელეარხები „იმედი“ და „რუსთავი-2“.

**(სტატია იბეჭდება შემოკლებით)**

BBC RUSSIAN.com

⊙ კონფერენცია

# ფიზიკა მედიცინის სამსახურში

**ფრიად საგულისყურო საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სტუ). გიორგი ნიკოლაძის სახელობის დარბაზმა 100-ზე მეტ დელეგატს უმასპინძლა. აშშ-ის, ბელარუსის, ინდოეთის, პოლონეთის, რუსეთის, საფრანგეთის, საქართველოს, სომხეთის, უკრაინის მეცნიერებმა რამდენიმე ათეული მოხსენება წარმოადგინეს და წაიკითხეს მედიცინაში კვლევის ფიზიკური მეთოდების, სხვადასხვა მიმართულებით იმათი გამოყენებების შესახებ.**

სამდღიანი შეკრება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სტუ-სა და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების თაოსნობით და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ჩატარდა. ფორუმს ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდნენ შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოცსაკითხთა კომიტეტი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.




კონფერენცია გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სტუ-ის რექტორმა, პროფესორმა არჩილ ფრანგიშვილმა. მონაწილეთ მიესალმა პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძე. პლენარული მოხსენებებით გამოვიდნენ: გამოჩენილი რუსეთელი მკვლევარი, აკადემიკოსი იური გულიაევი — „ზეგამტარი მაგნიტომეტრებისა და გაზომვათა მაგნიტური მეთოდების გამოყენებათა წარმატებები მედიცინაში“; გამოჩენილი პოლონელი მკვლევარი, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რომან მანიევსკი — „ახალი ოპტიკური მეთოდების გამოყენება სამედიცინო დიაგნოსტიკაში“; გამოჩენილი ქართველი მედიკოსი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა (თანაავტორი პროფესორი მერაბ ბერაიაძ — „სისხლის დინების სიბლანტის შესწავლა აორგის გამოსასვლელში რეზონანსული ანგიოგრამის საშუალებით“.

ფიზიკოსთა და მედიკოსთა ერთობლივი ფორუმი „კვლევის ფიზიკური მეთოდებით მედიცინაში“ ჩვენს ქვეყანაში პირველად შედგა. ჩვენ რამდენიმე მათგანს გავესაურეთ.

**თენგიზ მძინარაშვილი,** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ნებრასკის უნივერსიტეტის (ქ. ოჟამა, აშშძ სამედიცინო ცენტრის კიბოს ინსტიტუტის პროფესორი.

**— ბატონო თენგიზ, მე მოვისმინე თქვენი „მათემატიზებული“ გამოსვლა და უნდა გითხრათ, რომ კარგი შთაბეჭდილება დამრჩა; თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვით უამბეთ მკითხველს თქვენი მოხსენების გარშემო.**

— საიმონ შერმანთან თანაავტორობით წარმოვადგინეთ კიბოს განვითარების ვეიბელის (მკვლევარის გვარიაძ მოდელის შესწავლის შედეგები. პროფესორი შერმანი წარმოშობით მინსკელი ებრაელია, ამერიკელი მოქალაქე, ჩვენს ინსტიტუტში ბიოინფორმატიკის ლაბორატორიას განაგებს... ადამიანის ასაკზე კიბოთი დაავადების სიხშირის დამოკიდებულება შესაძლებელს ხდის სენის გამოწვევის მიზეზების კვლევას. ეს დაავადება შედეგია გენების მუტაციისა. არსებობს მრავალსაფეხურიანი კიბოს ერმიტაჟ-დოლის (ეს ორი გვარია, ამათგან დოლი ნობელიანტი გახლავთძ მოდელიც, რომლის მიხედვითაც დასნეულების რისკი უნდა იზრდებოდეს ასაკში შესვლასთან ერთად. თანამედროვე დაკვირვებითი მონაცემებით, ეგ რისკი მაქსიმუმის მიღწევის შემდეგ კლებას იწყებს. ჩვენ შევისწავლეთ ამ პროცესის მექანიზმები და სათანადო ახსნაც მივეცით.

**— რამდენი ხანია ნებრასკაში ხართ?**

— სამი წელიაწადია, რაც კიბოს ინსტიტუტში ვმუშაობ და სხვა შრომა გამოვაქვეყნე, კარგი გამოხმაურებაც მოჰყვა. ალბათ, ურიგო შედეგად არ უნდა ჩაითვალოს. სხვა რა გითხრათ...

**რომან მანევსკი,** პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიოკიბერნეტიკისა და სამედიცინო ტექნიკის ინსტიტუტის პროფესორი, ბიოოპტიკური გაზომვების განყოფილების კონსულტანტი:

**— პან რომან, რას ეხებოდა თქვენი მოხსენება?**

—სხვადასხვა დაავადებისას დიაგნოსტიკის ოპტიკური ხერხების უპირატესობის ჩვენებას.

**— როგორია თქვენი აქ ყოფნის შთაბეჭდილებები?**

— ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენცია გამოდგა და უთუოდ წაადგება საქართველოში ბიოინჟინერიის განვითარებას.

უნდა გითხრათ, რომ მასპინძლებმა შეძლეს ყოველმხრივ სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნა — ვიგრძენით ცნობილი ქართული სტუმართმოყვარეობაც.

ბოლო სიტყვა სტუ-ის სრულ პროფესორს, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარეს **რაფიელ ჩიქოვანს,** რომელიც ფიზიკოსთა და მედიკოსთა თბილისური შეკრების ორგანიზების ერთ-ერთ მთავარ ფიგურად წარმოჩნდა:

— ეს კონფერენცია სამი წლის წინათ ჩავიფიქრეთ და სასიამოვნოა, რომ ჩანაფიქრს ხორცი შევასხით. იყო ფრიად საგულისყურო შეხვედრები, რაც უთუოდ წაადგება ფიზიკოსთა და მედიკოსთა ნაყოფიერ პარტნიორობას. საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ ფორუმმა მიიღო ჩვენი რეკომენდაციები. ყველაზე საგულისხმოა, რომ ამ სახის შეკრებები რეგულარულად გაიმართება. გავკადნიერდით და წამოვაყენეთ შეთავაზება — საქართველო იყოს სისტემური მასპინძელი სხვადასხვა ქალაქით...

**თამაზ ებანოიძე**

⊙ საააკადემიო პრემიების ლაურეატები

# აბაზურის მიწიდან ჰუსეინბეგლომდე

**კაპიტალურ ორტომიან წიგნს „საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი)“ ხვდა ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის პრემია. დაჯილდოებულ ავტორთა ჯგუფი ხუთკაციანია: აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები დევი ბერძენიშვილი (სიკვდილისშემდგომ), მარინა კანდელაკი, მზია სურგულაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ჭეიშვილი.**

ეს პროექტი განხორციელდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდში (რუსთაველის ფონდიძ მოპოვებული გრანტის მეშვეობით, აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის ეგიდით. „საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში“ წარმოადგენს XIX-XX საუკუნეებში ქართველ მკვლევართა მიერ გამოცემულ დოკუმენტთა კრებულებიდან ამონაწერ ისტორიულ ტოპონიმთა სრულ კორპუსს. ტოპონიმები ამოწერილია შესაბამისი კონტექსტებით და დალაგებულია ქრონოლოგიურად, რაც იძლევა ცალკეული გეოგრაფიული პუნქტების ისტორიული ევოლუციის სურათს. ნაშრომი განკუთვნილია სხვადასხვა მეცნიერული დარგის სპეციალისტებისა და სტუდენტებისთვის.

ადგილთა სახელებს ანუ ტოპონიმიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის. ეს ურწყველი მასალაა, მეტყველი და უტყუარიო — აღნიშნავდა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მეცნიერული დარგის, ფუძემდებელი, აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. მართლაც, ტოპონიმიისა და კერძოდ, ისტორიული ტოპონიმიის შეკრებას, გამოქვეყნებასა და ანალიზს სრულიად ახლებურად შეეძლება ჩვენი ქვეყნის ისტორიისა თუ ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის წარმოჩენა.

„ჩვენი პროექტი გულისხმობს სხვადასხვა დროს სხვადასხვა მკვლევარის მიერ აქამდე გამოქვეყნებული ისტორიული საბუთებიდან ამოკრებილი შუა საუკუნეების საქართველოს ტოპონიმიის სრულ კორპუსს, რომლის ქრონოლოგიური მიჯნები მოიცავს IX-XVIII საუკუნეებს, XIX-ის დასაწყისის ზოგიერთი დოკუმენტის ჩათვლით... ტოპონიმები დალაგებულია ანბანის მიხედვით ქრონოლოგიურ რიგზე. ტოპონიმს გვერდზე მიეწერება საბუთის თარიღი; თუკი უეჭველია ტოპონიმის გეოგრაფიული ლოკალიზაცია, გვერდით მიენიშნება ის მხარე თუ კუთხე (ქართლი, იმერეთი, არაგვის ხეობა...ძ, რომელშიც იგი იგულისხმება... ზოგადი ხასიათის გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა საქართველო, ქართლი, კახეთი, სამეგრელო და სხვა, ან ტფილისი (იგივე „ქალაქი“ძ, გორი, თელავი და სხვა მისთანანი, იმ შემთხვევაში გადმოგვაქვს ტექსტის თავში, თუ რაიმე მნიშვნელოვან კონტექსტს უკავშირდება“ — ამასა და ბევრ სხვა რამეს საგულისხმოს გვამცნობს ორტომეულის რედაქტორი, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი ვრცელ წინათქმაში. სწორედ ბატონ დავითს, „შეთავსებით“ ავტორთა გჯუფის ხელმძღვანელს, ვესაუბრებით.

**— როგორც ვიცი, მეცნიერებაში ნიკო ბერძენიშვილის მოწაფე ბრძანდებით. გაიხსენეთ, თუ შეიძლება, თქვენი დიდი მასწავლებელი..**

— პირველ რიგში, რასაკვირველია, გეტყვით, თუ როგორი მეამაყება ჩემი საყვარელი მასწავლებლის სახელობის პრემიის ლაურეატობა. ის გახლდათ უთვალსაჩინოესი ქართველი ისტორიკოსი, ჩვენს სახელოვან ისტორიკოსთა დიდი სამეულის ღირსეული წევრი (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილიძ.

ბატონი ნიკო და ცხოვრებიდან ნაადრევად წასული მამაჩემი, აგრეთვე ისტორიკოსი ლევან მუსხელიშვილი მეგობრები და თანამშრომლები იყვნენ, ასე რომ ის მე ჯერ კიდევ ბავშვს მიცნობდა... უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი რომ გავხდი, ჩვენს ნაკადს წაუკითხა, სხვათა შორის, თავისი ბოლო კურსი საქართველოს ისტორიისა...

სადიპლომო ნაშრომი ბატონ ნიკოსთან შევასრულე, მანვე დამტოვა 1952-ში ასპირანტურაში, უხელმძღვანელა ჩემს საკანდიდატო დისერტაციას...

ნიკო ბერძენიშვილმა წარუშლელი კვალი დასტოვა საქართველოს ისტორიის შესწავლის, მთელი ამ ისტორიული პროცესის საქმეში.

**— თქვენს თანაავტორებსა და ახლა უკვე თანალაურეატებზე ხომ არ გვეტყოდით რამეს?**

— შეიძლება ითქვას, რომ ორტომეული არის კოლექტიური ძალისხმევის ნაყოფი; ჯერ კიდევ ნიკო ბერძენიშვილის ერთ-ერთი მიზანი გახლდათ სწორედ ამგვარი ნაშრომის შექმნა. ტოპონიმია დაუწერელი წიგნია, რომელიც მკითხველს ელის და ტოპონიმიის შედეგად საქართველოს ისტორიის არაერთი საგულისყურო პრობლემის ახლებურად გაშუქება გახდება შესაძლებელი...

ჩვენს სამუშაოში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ერთ-ერთმა ავტორმა, პროფესორმა დევი ბერძენიშვილმა და რაოდენ სამწუხაროა, რომ ის ვერ მ ოესწრო ორტომეულის გამოსვლასა და ასეთ მაღალ შეფასებას...

**— ამრიგად, დასრულებულია ერთი დიდი საქმე... ახლო ხანში გასაკეთებლად რა გეოცნებებათ?..**

— კარგი იქნებოდა, რომ შესაძლებელი გახდეს საქართველოს ისტორიის ატლასის გამოცემა, სადაც რუკები უკვე ამ ნაშრომის მიხედვით იქნება შევსებული, სწორედ ამ ტოპონიმიური მონაცემების წიაღ.

...ბოლო აკორდად პუბლიკაციის სათაურს მივუბრუნდები, თუმცა მკითხველი უჩემოდაც გაერკვეოდა: იქ ამოცნობილია პრემირებული კორპუსის პირველი და ბოლო ტოპონიმური ერთეულები — „ა“ და „ჰ“-ემდე...

**ლუკა გორგაძე**

⊙ ვაიმე, ენავ!

რუბრიკა მიჰყავს მურმან თავდიშვილს

# შეცდომები და შეცდომები...

ამ ბოლო დროს ჟურნალისტებს (განსაკუთრებით ტელევიზიებში მომუშავეთძ ერთმანეთში ერევათ ორი ცნება — **დაზიანებული** და **დაზარალებული.**

ამას წინათ ერთმა ტელედიქტორმა ახსენა „დაზარალებული ტვირთი“, მეორემ — „დაზარალებული შენობა“. მათ (ასევე სხვათა მრავალთაძ გასაგონად უნდა ვთქვა: **დაზარალებული** შეიძლება იყოს ადამიანი, სულიერი არსება, კოლექტივი, ხოლო **დაზიანებული** — უსულო საგანი.

მაშ, სწორია: დაზარალებული მეანაბრე, ხოლო — დაზიანებული სალაროს აპარატი; დაზარალებული საწარმო, დაზიანებული მერხი.

ენობრივად ბევრსა სცოდავს ზოგი კომენტატორი.

ამას წინათ ტელევიზიით ფეხბურთის მატჩს უჩვენებდნენ. წამყვანს [illegible] ისმოდა ასეთი გამოთქმა: [illegible] აქ ერთმანეთშია არეული ორი ცნება — **მასიური** და **მასობრივი.** „მასიური კორპუსი“, „მასობრივი გამოსვლები“ და „მასიური ნაგებობა“.

საფეხბურთო კომენტატორის მორიგი შეცდომა ასეთი იყო: „კონტრიერიში მესის შესრულებით“.

ვფიქრობ, ეს რუსულის კალკია. ქართულია: „კონტრიერიში განახორციელა მესიმ“ ანდა „კონტრიერიშზე გადავიდა მესი“.

ცუდი ქართულით განსაკუთრებით სცოდავენ რეკლამების ავტორები. ჩვეულებრივ გვესმის ასეთი მოწოდება: მიიღეთ ესა და ეს პროცენტი **ლარში,** სწორი იქნებოდა არა **ლარში,** არამედ — **ლარობით.**

მაშ, ბანკისაგან მიიღეთ პროცენტი ლარობით, დოლარობით...

არა მგონია, ამჩემმა უსუსურმა შეძახილმა საქმე საწალმართოდ შემოაბრუნოს და ამიერიდან ეს ენობრივი სარეკლამო წუნი აღმოიფხვრას, ოღონდ თავს ცნობილი ფრთიანი გამოთქმით ვინუგეშებ: „მამალმა თქვა: მე დავიყივლე და გინდ გათენებულა, გინდ — არაო!“

ერთობ საჭირო და აქტიურად გამოსაყენებელი სიტყვაა „ენერგომატარებელი“. ჩვეულებრივ გაზეთები და ტელევიზიები ამ ტერმინს მიმართავენ, არადა იგი მცდარია. ძალიან გამიხარდა, როცა ამ რამდენიმე ხნის წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ტერმინი — **ენერგოშემცველი** (6 ოქტომბერი, V გვერდიძ.

მაშ, სწორია „ენერგოშემცველი“ და „ენერგოშემცველები“.

ზოგ [illegible], შესაძლოა, ამათდა ზედმეტი [illegible] ეს შენიშვნები, [illegible] ვფიქრობ, ყველაფერი ეს ცოდნის სფეროს განეკუთვნება, ხოლო სფერო, სადაც სრულიად არაფერი ესაქმება სიტყვა „ზედმეტს“, — ეს სწორედ ცოდნის სამყაროა.

ფეხბურთი

# ჩემპიონთა ლიგა

**ჯგუფური რაუნდის V ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** „ნაპოლი“ – „სიტი“ 2:1, „ბაიერნი“ – „ვილიარეალი“ 3:1.

„ბაიერნი“ – 13, „ნაპოლი“ – 8, „სიტი“ – 7, „ვილიარეალი“ – 0 ქულა.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „სიტი“ – „ბაიერნი“, „ვილიარეალი“ – „ნაპოლი“ (7 დეკემბერიძ.

**„ბ“ ჯგუფი.** ცსკა – „ლილი“ 0:2, „ტრაბზონი“ – „ინტერი“ 1:1.



„ინტერი“ – 10, „ტრაბზონი“ – 6, „ლილი“, ცსკა – 5-5 ქულა.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „ლილი“ – „ტრაბზონი“, „ინტერი“ – ცსკა (7 დეკემბერიძ.

**„გ“ ჯგუფი.** „მანჩესტერი“ – „ბენფიკა“ 2:2, „ოცელული“ – „ბაზელი“ 2:3.

„ბენფიკა“, „მანჩესტერი“ – 9-9, „ბაზელი“ – 8, „ოცელული“ – 0 ქულა.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „ბაზელი“ – „მანჩესტერი“, „ბენფიკა“ – „ოცელული“ (7 დეკემბერიძ.

**„დ“ ჯგუფი.** „რეალი“ – „დინამო“ (ზაგრებიძ 6:2, „ლიონი“ – „აიაქსი“ 0:0.

„რეალი“ – 15, „აიაქსი“ – 8, „ლიონი“ – 5, „დინამო“ (ზაგრებიძ – 0 ქულა.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „აიაქსი“ – „რეალი“, „დინამო“ (ზაგრებიძ – „ლიონი“ (7 დეკემბერიძ.

**„ე“ ჯგუფი.** „ლევერკუზენი“ – „ჩელსი“ 2:1, „ვალენსია“ – „გენკი“ 7:0.

„ლევერკუზენი“ – 9, „ჩელსი“, „ვალენსია“ – 8-8, „გენკი“ – 2 ქულა.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „გენკი“ – „ლევერკუზენი“, „ჩელსი“ – „ვალენსია“ (6 დეკემბერიძ.

**„ვ“ ჯგუფი.** „მარსელი“ – „ოლიმპიაკოსი“ 0:1, „არსენალი“ – „ბორუსია“ 2:1.

„არსენალი“ – 11, „მარსელი“ – 7, „ოლიმპიაკოსი“ – 6, „ბორუსია“ – 4 ქულა.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „ბორუსია“ – „მარსელი“, „ოლიმპიაკოსი“ – „არსენალი“ (6 დეკემბერიძ.

**„ზ“ ჯგუფი.** „ზენიტი“ – „აპოელი“ 0:0, „შახტარი“ – „პორტუ“ 0:2.

„აპოელი“ – 9, „ზენიტი“ – 8, „პორტუ“ – 7, „შახტარი“ – 2 ქულა.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „პორტუ“ – „ზენიტი“, „აპოელი“ – „შახტარი“ (6 დეკემბერიძ.

**„თ“ ჯგუფი.** „მილანი“ – „ბარსელონა“ 2:3, ბატე – „პლზენი“ 0:1.

„ბარსელონა“ – 13, „მილანი“ – 8, „პლზენი“ – 4, ბატე – 2 ქულა.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „ბარსელონა“ – ბატე, „პლზენი“ – „მილანი“ (6 დეკემბერიძ.

ადამიანი დროში

# დღესაც კალათბურთით ცოცხლობს

**ქართულ კალათბურთს ვარსკვლავები არასდროს ჰკლებია. მათი თამაშით მოხიბლული გულშემატკივრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და მქუხარე ოვაციებით აჯილდოებდნენ გასახდელისკენ მიმავალთ. რჩეულთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია გურამ მინაშვილს – გასული საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში საბჭოთა კალათბურთის გამორჩეულ ფიგურას, საკუთარი ხელწერის მქონე დიდოსტატს, რომელმაც არაერთი სასახელო ფურცელი ჩაწერა სამამულო სპორტის ისტორიაში.**



ჩვიდმეტი წლისა ჩაირიცხა თბილისის „დინამოში“. ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ჯუმბერ ნიჟარაძის, ლევან ინწკირველის, ალექსანდრე კილაძისა და ქართული კალათბურთის სხვა კორიფეების მხარდამხარ იბრძოდა წლების განმავლობაში მრავალ წარმატებასაც მიაღწია. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 1960 წელს რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი დაიმსახურა, სამჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა. 1957 წელს სანტიაგოში გურამ აბაშიძესთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც უნდა ასულიყო, მაგრამ ქართველი კალათბურთელების ოქროს მედლები მაშინ საერთაშორისო პოლიტიკურ ინტრიგას შეეწირა.

– ჩემს სპორტულ კარიერაში ყველაზე ძვირფას ჯილდოდ 1962 წელს ჟენევაში თბილისის „დინამოს“ მიერ მოპოვებული ევროპის ჩემპიონთა თასი მიმაჩნია, – მითხრა გურამ მინაშვილმა. – ჩვენმა გუნდმა მაშინ ფინალურ მატჩში მადრიდის „რეალი“ დაამარცხა შვიდი ქულით. ეს იყო ქართული გენის გამოვლინება. როგორც იმ ორთაბრძოლის თვითმხილველმა დიდმა ქართველმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ ბრძანა, „ყამირთაგან ამოხეთქილი ძალა ქართული“...

გურამ მინაშვილი გახლავთ ქართველ კალათბურთელთა კაპიტანთაგან ერთადერთი, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასი შემართა. მართალია, სანტ-იაგოში პოლიტიკურმა ინტრიგამ მსოფლიოს ჩემპიონატის უმაღლესი ჯილდო დააკარგვინა, მაგრამ 4 წლის შემდეგ რიო-დე-ჟანეიროში მსგავს შეჯიბრებებზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, იტალიელი მრეწველისა და იქაური კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მაირანოს თასიც მოიპოვა. ამერიკული ტურნესას „დენვერ ორაკერსის“ დამარცხებაში ლომის წილი დაიდო – მატჩის შემდეგ ნიუ-იორკის პროფესიული კლუბის მესვეურმა მინაშვილის შეძენა მოისურვა, მაგრამ ასეთ რამეზე მაშინ ხომ გაფიქრებაც არ შეიძლებოდა.

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ გურამ მინაშვილი წლების განმავლობაში ტექნიკურ უნივერსიტეტში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას ხელმძღვანელობდა. ბავშვობის არჩევანისთვის ზურგი არასდროს შეუქცევია – თბილისის სპორტის სასახლეში საერთაშორისო თუ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს არ აცდენს: შვიდ ათეულ წელს გადაცილებული სპორტის დამსახურებული ოსტატი დღესაც კალათბურთით ცოცხლობს.

**დღეს ბატონი გურამი იუბილარია – ვულოცავთ 75-ე შემოდგომას.**

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

# მოვიგეთ, მაგრამ...

**მართალია, თბილისის „არმიამ“ ევროჩელენჯის ჯგუფურ ტურნირში მეორე გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ძნელი სათქმელია, ასეთი თამაშით მორიგ რაუნდში თუ გააღწევს.**

**ვინმემ კონკრეტულობას მოკლებული უსაფუძვლო ეჭვების ფრქვევა რომ არ დაგვაბრალოს, ორიოდე მიზეზს გაგაცნობთ, რატომაც გვესახება ბუნდოვნად საქართველოს მოქმედი ჩემპიონის პერსპექტივები.**



**მწვრთნელი.** როგორც კალათბურთელი და გუნდის ლიდერი, კოტე ტულუში ჩვენს სუპერლიგაში მართლაც გამოირჩეოდა, რასაც სავსებით ბუნებრივად მოჰყვა მისი მიწვევა ლეგიონერებით გაძეძგილ ეროვნულ ნაკრებში. აი, მისი მწვრთნელობისა კი რა მოგახსენოთ.

დაგვეთანხმებით, მრავალწევრიანი ცოცხალი ორგანიზმის გაძღოლა სპეციფიკური საქმეა და პედაგოგიურ ალღოსთან ერთად გამოცდილებას, სასელექციო ნიჭსა და კიდევ უამრავ მსხვილმან-წვრილმან ნიუანსში წვდომას მოითხოვს, რომელთაგანაც უპირველესად ინტელექტი უნდა მივიჩნიოთ, ეს უკანასკნელი კი ისეთი რამაა, დაბადებიდანვე უნდა დაგყვეს თან და რომელსაც ვერ შეიძენ.

დამწყები სპეციალისტისადმი მისივე პიროვნული ღირსებებით განპირობებული პატივისცემისა და გულთბილი დამოკიდებულების მიუხედავად, პირუთვნელად უნდა ითქვას, რომ არმიელთა თავკაცს ჯერჯერობით არცერთ ზემოთჩამოთვლილ კომპონენტში დაგროვებული კაპიტალი არ უმაგრებს ზურგს.

**შემადგენლობა.** გვსურს თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ქვეყნისა და მისი ძლევამოსილი შეიარაღებული ძალების სპორტულ ღირსებას საერთაშორისო სარბიელზე ერთბაშად ორი დამოუკიდებელი სუბიექტი იცავს, რომელთა შორისაც განსხვავება კლასში საგრძნობი გახლავთ. მიხვდით, ალბათ, რომ უცხოელთა სასტარტო ხუთეულსა და მათ არასრულფასოვან ჩვენს თანამემამულე დუბლიორებს ვგულისხმობთ. ვფიქრობთ, ეს ორი მიზეზიც საკმარისია, თავდაცვის სამინისტროს კლუბის შემდგომი წინსვლისა ძალიან რომ არ დავიჯეროთ.

რაც შეეხება პირველი წრის დასკვნით მატჩს ჰოლანდიის „ლეიდენთან“, იგი 74:71 მოვიგეთ, თუმცა ამაში ხელი გვარიანად შეგვიწყო შეხვედრის დებიუტშივე სტუმართა ყოჩის შეპარდის მიერ მიღებულმა ტრავმამ. დავძენთ, რომ თბილისელთა გამთამაშებელმა გეინსმა 25 ქულა მოაგროვა.

„ბეშიქთაში“ – „გეტინგენი“ 105:94. უილიამსი („ბეშიქთაში“ძ – 50 ქულა. „ბეშიქთაში“ – 3, „არმია“ – 2, „ლეიდენი“ – 1, „გეტინგენი“ – 0 მოგება.

* * *

**გუშინ მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა ქართულ საკალათბურთო ცხოვრებაში – ეროვნულ ფედერაციასა და სუპერლიგას (ბესიკ ლიპარტელიანი, გიორგი ზაბახიძეძ, ერთი მხრივ, და საინფორმაციო ცენტრ 08-ს შორის, მეორე მხრივ, გაფორმდა მემორანდუმი პარტნიორული თანამშრომლობის შესახებ, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ეროვნული ნაკრების თამაშებზე დასწრების მსურველებს 08-ზე წინასწარ დაჯავშნონ ბილეთები.**

**ამ ფაქტისადმი მიძღვნილ 08-ის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ეროვნულ ჩემპიონატში უცხოელი მსაჯების მოწვევის დეტალებზეც შევიტყვეთ.**

**გია პლატონიშვილი**

ინტერნეტიდან

## ისტორიაში პირველად



**სწორედ რომ ასე მოხდა – საერთაშორისო მატჩებში პირველი გამარჯვება მოიპოვა ფეხბურთში ამერიკული სამოას ნაკრებმა. ფიფას რეიტინგით მსოფლიოში 203-ე გუნდმა ჰოლანდიელი სპეციალისტის თომას რონგენის ხელმძღვანელობით 2014 წლის მსოფლიოს პირველობის შესარჩევ მატჩში დაამარცხა ტონგას ნაკრები 2:1.**

სამოელთა ამ ისტორიულ გამარჯვებაში გოლები გაიტანეს 44-ე წუთზე რამინ ოტტმა და 74-ე წუთზე შალომ ლუანიმ.

ამერიკული სამოა ფიფას წევრი გახდა 1998 წელს და ამ პირველ გამარჯვებამდე დამარცხდა 30 საერთაშორისო შეხვედრაში, მათ შორის 2001 წლის 11 აპრილს ავსტრალიის ნაკრებთან სარეკორდო ანგარიშით – 0:31.

## „საიდუმლო“ გაამჟღავნა

**მართალია, ათასნაირი ჭორი დაიდოდა „მილანის“ ფეხბურთელ ფილიპო ინძაგისთან იტალიელი მოდელის მარიკა ფრუშოს ურთიერთობაზე. თუმცა თავდამსხმელი აპირებსო ძველ დაქალზე ალესია ვენტურაზე დაქორწინებას, მაგრამ როგორც თავად მარიკამ განაცხადა, მისი შეხვედრები ფილიპოსთან ჭორი არ იყო.** „მე ის ამ რვა თვის წინათ გავიცანი, და თუკი მოვისურვებდი, ამას ყველა შეიტყობდა“, – მოაქვს ლამაზმანის სიტყვები გამოცემას „Caicio Sport-24“, – „უნდა ითქვას, რომ ეს ნამდვილად მინდოდა“. თუმცა ის არ ამტკიცებს, რომ ეს სიყვარული იყო, რადგან ისინი იშვიათად ხვდებოდნენ, ამიტომ უჭირდათ გრძნობებში გარკვევა, რაც მათ დიდ პრობლემებს უქმნიდა.



მოსაზრება

# ერთი არაადეკვატური ნათარგმნის თაობაზე

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თეთრ სახლში მისვლისთანავე საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება დაისახა. სულ მალე საამისო პრაქტიკული ნაბიჯების განხორციელების მოწმენიც გავხდით. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი ქლინტონმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს აქამდე არსებულზე უფრო აქტიური თანამშრომლობა შესთავაზა და შესაბამისი განმარტებებით ნებისმიერ მოვლენაზე მყისიერი რეაგირების სიმბოლური ღილაკიც გადასცა, რაც ორივე პერსონის დიპლომატიური ღიმილითაც აღინიშნა (ყოველივე ეს მილიონობით ადამიანმა ტელევიზიით ნახაძ. ამ აქტით, კერძოდ, იგულისხმებოდა ორმხრივ ურთიერთობათა კიდევ უფრო გაფართოება, მათი მეტისმეტი დატვირთვა: overload, ე. ი. ერთობლივი მუშაობით ასეთი კავშირების ზომაზე მეტად დატვირთვა: overwork.**

მიუხედავად იმისა, რომ ზემომოყვანილი ტერმინები ლექსიკონებში განმარტებულია როგორც „გადატვირთვა" („перегрузка"ძ, რუსებმა, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ისინი სწორად შეუსატყვისეს ამერიკის სახელმწიფო მდივნის მიერ ნაგულისხმევ შინაარსს და თარგმნეს არა როგორც „перегрузка" („გადატვირთვა"ძ, არამედ როგორც „перезагрузка", ანუ უკვე დატვირთულის კიდევ დამატებით (წამატებითძ დატვირთვა. რუსულ მედიაში იგი ასეც დამკვიდრდა: **„перезагрузка"**. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" რვატომეულის მიხედვით ამ ტერმინს შეესაბამება — „გადამეტტვირთვა" (ტ. II, გვ. 271, 1951 წ.ძ, ანუ გადამეტებული, ზომაგადა-ცილებული, გადაჭარბებული დატვირთვა, თუმცა, აქ დასაშვებია აპელირებაც: გადამეტტვირთვას, როგორც ჩანს, რაღაც დოზით, გადატვირთვაც გამოხატავს, მაგრამ, დამეთანხმეთ, საუბრისას მსმენელი, ჩვეულებრივ, უპირველესად, სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას აღიქვამს და არა მეორეულს, გადატანითს.

ჩვენში ქ-ნ ჰილარის ნათქვამი იმთავითვე მთლად ზუსტად ვერ გადმოიცა, შემოღებულ იქნა ტერმინი: **გადატვირთვა.** ახლა, როცა ზემოაღნიშნულ ფაქტს ეხებიან, პრესაშიც და ელექტრონულ მედიაშიც ყველა ტერმინ „გადატვირთვას" ხმარობს. არადა, „გადატვირთვა", ხშირ შემთხვევაში, იმის საწინააღმდეგოს ნიშნავს, რისი სურვილიც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა გამოხატა. თავად განსაჯეთ: გადატვირთული აგრეგატი ვერ იმუშავებს, გადატვირთული საზიდი ვერ იმოძრავებს, გადატვირთული მოსწავლე ვერ შეძლებს სწავლის გაგრძელებას, გადატვირთული სპორტსმენი ვერ მიაღწევს სანადელს, ვერ დაძლევს მისთვის სხვა დროს დასაძლევ დაბრკოლებას და ა. შ. ბოლო-ბოლო, აი, მკაფიო ყოფითი მაგალითიც: ოთხკაციან ლიფტში როცა მეხუთე კაცი შედის, იქ წითელი ნათურა ინთება — გადატვირთვის ნიშანი, და თუ ეს მეხუთე იქიდან არ გამოვიდა, ლიფტი არ დაიძვრება.

მაშ, გასაგებია, რომ პირველად (შესაძლოა სიჩქარეშიძ ვიღაცამ უზუსტობა დაუშვა, ნათქვამი არაიდენტურად გადმოაქართულა, ხოლო მერე აღარავის მოუვიდა აზრად, რომ ეს ლაფსუსი გამოესწორებინა... და ისმის მუდმივად: ურთიერთობის გადატვირთვა, რაც მის გაუარესებას გულისხმობს და არა გაუმჯობესებას.

აქ უფრო გულსატკენი ისაა, ისე გამოდის, რომ თითქოს ქართულ ენას არ შეუძლია გადმოსცეს ის ნიუანსები, რაც თუნდაც რუსულსა და ინგლისურს ძალუძს. არადა, საყოველთაოდ აღიარებული ენათმეცნიერი ნიკო მარი ჯერ კიდევ თითქმის საუკუნის წინათ წერდა: „ქართულ ენას შეუძლია სრულყოფილად და დაუმახინჯებლად გადმოგვცეს განყენებული აზროვნების ცნებები, ქართულად ადვილად ითარგმნება როგორც აზიური, ისე ევროპული კულტურული საზოგადოების მთელი პროდუქცია" (ჟ. „მნათობი", №5-6, 1925 წ., გვ. 325ძ.

და მეც, თქვენი მონა-მორჩილი, ერთი რიგითი ფილოლოგი გთხოვთ ახლა, მოგვიანებით მაინც გამოასწოროთ დაშვებული არაადეკვატურობა და თან გთავაზობთ „გადატვირთვის" ნაცვლად გამოიყენოთ თუნდაც ტერმინი — **„ზედატვირთვა"**.

**გურამ ხანდამიშვილი,**
*საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.*

გახსენება

## ეთერ რუხაძე-გეგეშიძე



**მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, მედიცინის დამსახურებული მოღვაწე, პროფესიონალი ექიმი-სტომატოლოგი, ხუთი წლის წინათ მიიბარა სათაყვანებელი სამშობლოს უწმინდესმა მიწამ.**

**ოჯახი, უახლოესი ნათესავები, ერთგული ადამიანები, თბილისელი მეზობლები, მშობლიური იანეთისა და მელაურის მცხოვრებლები სასოებით იხსენებენ ცრემლივით უსპეტაკესსა და უნიჭიერეს ადამიანს.**

**დღეს, ყველას გვეამაყება ეთერ რუხაძის უკვდავსაყოფად — მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი, მრავალი ტირაჟით გამოცემული წიგნები, კრებულები, მოგონებები და ფოტოალბომები, აგრეთვე საგაზეთო წერილები და ნარკვევები.**

**ვფიცავთ! სანთლებად ანთებული შენი ხსოვნა ჩვენს გულებში არასდროს ჩაქრება.**

მეუღლე, შვილები,
შვილიშვილები,
შვილთაშვილები.

ტესტი

# ზოგჯერ თუ ვინმე სადღაც არის ჩასაფრებული...

**ჩვენთან მილიცია პოლიციად იქცა. თუმცა თავად უსაფრთხოების თემას თავისი აქტუალობა მაინც არ დაუკარგავს. გაიარეთ ტესტი, რომელიც დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად გრძნობთ თავს დაცულად.**

**1. შუა ქუჩაში უპატრონოდ მიტოვებული ჩანთა რომ დაინახოთ, როგორ მოიქცეოდით?**

ა) მშვიდად აუვლით გვერდს.

ბ) თქვენ ეს შეგაშფოთებთ, თუმცა არაფერს არ გააკეთებთ.

გ) მის შესახებ პოლიციას შეატყობინებთ.

**2. ქალაქიდან დიდი ხნით გასვლის დროს, როგორ ცდილობთ თქვენი ბინის დაცვას?**

ა) იმედი გაქვთ რკინის კარებისა და ფანჯრის გისოსებისა.

ბ) უტოვებთ მას პოლიციას დასაცავად.

გ) მეზობლების სიფხიზლის იმედი გაქვთ.

**3. როგორ უყურებთ შესაძლებლობას, რომ მიღებული იქნეს კანონი, რომელიც მოქალაქეებს აძლევს ნებას შეიძინონ და შეინახონ ცეცხლსასროლი იარაღი?**

ა) არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი კანონის დრო მოვიდა.

ბ) მშვიდად: ვისაც უნდა, მას ახლაც აქვს ყველა შესაძლებლობა კიდეც შეიძინოს და კიდეც შეინახოს იგი.

გ) უარყოფითად.

**4. თუ შეამჩნიეთ, რომ უფრო ყურადღებიანი გახდით ახალი ამბების პროგრამებისადმი?**

ა) ახალი ამბების პროგრამებს ოდნავ მეტ ყურადღებას ვუთმობ, ვიდრე ადრე.

ბ) არა.

გ) დიახ, ახალ ამბებს დიდ ყურადღებას ვუთმობ.



**5. ბოლო ხანებში ხშირად თუ გაქვთ მკვეთრი ცვლილებები ხასიათში?**

ა) დიახ, ხშირად.

ბ) ზოგჯერ.

გ) პრაქტიკულად არასოდეს.

6. თუ გქონიათ ურთიერთობა ოდესმე „ცალხელა ბანდიტთან"?

ა) ეს ვინ არის?

ბ) კი, იყო ერთხელ.

გ) არა, მაგრამ ცდუნება არის.

**7. თქვენი აზრით, რომელია ყველაზე უსაფრთხო ადგილი ავტომობილისთვის?**

ა) დაცულ სადგომზე.

ბ) ბინის ფანჯრის ქვემოთ მანქანაში პირველი კლასის სიგნალიზაციის არსებობის დროს.

გ) ასეთი ადგილები დღეს არ არის.

**8. თქვენი უბნის ინსპექტორს თუ ცნობთ სახეზე?**

ა) არა.

ბ) ვიცი, რაც ჰქვია, თუმცა პირადად არასოდეს მინახავს.

გ) დიახ, ვიცნობ.

**9. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში რომელიმე აფერისტის, მათ შორის საფინანსო აფერისტის მსხვერპლი თუ გამხდარხართ?**

ა) არა.

ბ) ასეთი რამე შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ ჩემმა სიფხიზლემ მიშველა.

გ) დიახ.

**10. ღამით ან გვიან საღამოს ქუჩაში:**

ა) თუ განიცდით შიშს?

ბ) არ გრძნობთ საფრთხეს.

გ) ამ დროს ქუჩაში არ გადიხართ.

## ცხრილის მეშვეობით დაიანგარიშეთ ქულები:

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 1 | 3 | 3 | 2 | 3 | 1 | 1 | 3 | 1 | 2 |
| ბ | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | 1 |
| გ | 3 | 2 | 1 | 3 | 1 | 2 | 3 | 1 | 3 | 3 |

10-16 ქულა. არ გამოვრიცხავთ, რომ თავს სავსებით დაცულად გრძნობთ, მაგრამ, ალბათ იმის გამო, რომ თავად თქვენც შეგიძლიათ დაიცვათ თავი ნებისმიერ სიტუაციაში, თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში მზად ხართ ენდოთ სამართალდაცვის ორგანოებსაც.

17-23 ქულა. თქვენ, ალბათ, ხშირად გიწევთ მღელვარება თქვენი თავისა თუ ახლობლების გამო. რასაკვირველია, თქვენთვის ნაცნობია ტელეფონი, ახლა უკვე, 122, მაგრამ ეფექტურად მუშაობს ეს სამსახური. ყოველთვის როდი ფიქრობთ ამაზე, ვინაიდან ბავშვობიდანვე იცით: იმის გადარჩენა, ვინც იხრჩობა, თავად მისი ხელების საქმეა. გაიხსენებთ, რომ სწორედ თქვენი, როგორც გადასახადების გადამხდელის, სახსრებით ინახავენ უწყებას, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს თქვენი უსაფრთხოების გარანტია და სანამ არ ისწავლით მოითხოვოთ მაღალხარისხიანი მომსახურება თქვენი ფულის ხარჯზე, ფიქრი მართლაც უმთავრესად თქვენს თავზე მოგიწევთ.

24-30 ქულა. თქვენი მაჩვენებელი მეტყველებს, რომ თავს ვერ გრძნობთ დაცულად, ხოლო როდესაც კრიმინალურ ქრონიკას უყურებთ, ყოველთვის სვამთ კლასიკურ კითხვას: ვინ არის დამნაშავე და რა უნდა გავაკეთოთ? ნებისმიერი ფსიქოლოგი გიპასუხებთ: უნდა იცხოვროთ, ვინაიდან, თუ არისტოტელეს პერიფრაზირებას მოვახდენთ. თუ კაცს არაფრის ეშინია, ის, ალბათ, ან შმაგია, ან უიმედოდ სულელი. და მაინც, ყველაფრის გულთან მიტანაც არ არის საჭირო.

რევაზ მიშველაძე, გივი გამსახურდია თანაუგრძნობენ არჩილ ფრანგიშვილსა და იგორ კვესელავას სიმამრისა და სიძის

### იური ვერულავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

### იური ვერულავა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის საინჟინრო ეკონომიკისა და მენეჯმენტის განყოფილება თანაგრძნობას უცხადებს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ ევგენი ბარათაშვილს დედის

### თინათინ სარალიძე-ბარათაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ჟურნალისტის და საზოგადო მოღვაწის, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" ყოფილი მთავარი რედაქტორის ოთარ ლორთქიფანიძის ვაჟი

### ელგუჯა ლორთქიფანიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



ვილენ მარდალეიშვილი და დაგმარა წერეთელი გულისტკივილით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი ადამიანი, შესანიშნავი ქართველი კაცი, გამორჩეული გვარიშვილი და ოჯახიშვილი, ავადსახსენებელ 37 წელს რუსთაველის თეატრის ტრაგედიას გადაყოლილი ლეგენდარული მსახიობის ელგუჯა ლორთქიფანიძის შვილიშვილი, ქართველ ჟურნალისტთა უფროსი თაობის დიდი მეგობრისა და კოლეგის, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" ყოფილი რედაქტორის, აწგარდაცვლილი ოთარ ლორთქიფანიძის ვაჟი

### ელგუჯა ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და საახლობლოს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

დედაქალაქი

# ძველი პროსპექტის გაზაფხული შემოდგომაზე





**ძნელი წარმოსადგენი იყო ერთი წლის წინათ, როცა დავით აღმაშენებლის პროსპექტსა და მარჯანიშვილის მოედანზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო, რომ თბილისის ეს ძირძველი უბანი, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დიდი თავადის მიხეილის, შემდეგ კი პლეხანოვის პროსპექტი ასე თვალში გამოიხედავდა და თავისი სილამაზით ამდენი ხალხის გულს მოინადირებდა.**

გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის, დავით აღმაშენებლის პროსპექტზე ათეულობით შენობის რეაბილიტაცია დასრულდა, გამწვანდა და კეთილმოეწყო იმ უბანში სკვერები, ქუჩის მთელ სიგრძეზე ახალი, თანამედროვე გარე განათების სისტემა დამონტაჟდა, გამოიცვალა სანიაღვრე-საინჟინრო კომუნიკაციები, კეთილმოეწყო ტროტუარები და გაკეთდა გამწვანების ზოლი. ასევე დასრულდა მარჯანიშვილის მოედნის რეკონსტრუქცია, რომელიც თავისი არქიტექტურით ორგანულად შეერწყა განახლებულ აღმაშენებლის პროსპექტს.

აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებლის პროსპექტის აღდგენით-სარეკონსტრუქციო სამუშაოები თბილისის მერიამ შარშან დაიწყო, ხოლო სამუშაოებმა თამარ მეფის პროსპექტიდან მარჯანიშვილის მოედნამდე მონაკვეთი მოიცვა. სარეაბილიტაციო სამუშაოთა დაწყებამდე ხელოვნებათმცოდნეებმა, არქიტექტორებმა, კონსტრუქტორებმა და გეოლოგებმა საფუძვლიანი კვლევები ჩაატარეს, შეისწავლეს შენობებისა და არსებული მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის ფიზიკური მდგომარეობა, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები კი მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო.

როგორც აღვნიშნეთ, გიორგობის დღესასწაულსა და ვარდების რევოლუციის მერვე წლისთავისათვის აღმაშენებლის პროსპექტსა და მარჯანიშვილის მოედანზე დაგეგმილი ყველა სამუშაო დასრულდა. გამაგრდა ყველა სახლის საძირკველი, მოიჭიმა კედლები, მთლიანად შეიცვალა გადახურვის კონსტრუქციები და საფარი, აღდგა ნაძერწი დეტალები, რესტავრაცია ჩაუტარდა ფასადებს, გამწვანდა და კეთილმოეწყო პროსპექტის სკვერები, განახლდა გარე განათება და ტროტუარები, შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები, გაკეთდა მწვანე ზოლი.

გარდა ამისა, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის შენობას, რომელიც თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ და კოლორიტულ ნაგებობას წარმოადგენს. შენობა გაამაგრეს, მთლიანად გამოუცვალეს ფუნდამენტის დაზიანებული ნაწილები, გააძლიერეს მზიდი კედლები, საძირკველს გრუნტის წყლებისგან დამცველი გარსი შემოავლეს, ეზოში სანიაღვრე და მიწისქვეშა კომუნიკაციები შეცვალეს, ასევე განაახლეს სახურავი და ფასადი.

„ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის" პროექტის ფარგლებში წლეულს მაისში სარეაბილიტაციო სამუშაოები ასევე მარჯანიშვილის მოედანზეც დაიწყეს. განახორციელეს საზოგადოებრივი სივრცისა და სატრანსპორტო სავალი ნაწილის რეკონსტრუქცია, გამოცვალეს მიწისქვეშა კომუნიკაციები — სანიაღვრე, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემები. გზის ასფალტის საფარი ბუნებრივი, ეკოლოგიურად სუფთა, ორი ფერის გრანიტის ქვაფენილით შეცვალეს. გარდა ამისა, ხელახლა გაკეთდა ტროტუარები და ბორდიურები, დაზიანებული და ავარიული კონსტრუქციები — საძირკვლები, კედლები სათანადოდ გაამაგრეს. ამასთან, აქაც გამოცვალეს ძველი სახურავები, რეკონსტრუქცია ჩაუტარეს აივნებს, ფასადზე აღადგინეს არქიტექტურული ნაძერწი ელემენტები და გამოცვალეს კარ-ფანჯრები, რომლებზეც მზისგან დამცავი დარაბები დაამონტაჟეს და საყვავილეებიც გამართეს, ხოლო პირველ სართულზე საჩრდილობელი მარკიზები მოაწყვეს.




შენობების ნაწილის გასწვრივ ლითონსა და მინაში შესრულებული გალერეები (პასაჟები) მოეწყო და თანამედროვე განათებაც მიუსადაგეს, შეცვალეს სადარბაზოების კარები და პირველი სართულის მაღაზიების ვიტრინები.

რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ასევე საჯარო რეესტრის შენობასაც, რომლის ფასადი საგანგებოდ დამუშავდა და შეიღება, ფასადს კი არქიტექტურული დეტალები დაუმატეს. ვიტრინები პირველ სართულზე აქაც გამოცვალეს, შენობების წინ კი რკინა-ბეტონის პასაჟი აღმართეს, რომელიც თბილისელებს წვიმისა და უამინდობისგან დაიცავს.

უნდა ითქვას, რომ დავით აღმაშენებლის პროსპექტის განახლების ერთ-ერთი მეტად გამორჩეული ფრაგმენტია შს სამინისტროს რაიონული სამმართველოს პოლიციის ახალი შენობა. ეს შენობა ადრეც პოლიციას ეკუთვნოდა, მაგრამ ახლა ძველი მისგან მხოლოდ კედლები დარჩა. დღესდღეობით ეს სამსართულიანი ნაგებობა დახვეწილობითაა გამორჩეული და როგორც შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, დედაქალაქში პოლიციის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი შენობაა.

ამდენად, აღმაშენებლის პროსპექტისა და მარჯანიშვილის მოედნის რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ თბილისს კიდევ ერთი ულამაზესი ადგილი შეემატა, რომელიც როგორც თავად თბილისელებისთვის, ასევე დედაქალაქის სტუმრებისთვისაც უაღრესად მიმზიდველი და საყვარელი ადგილი გახდება.

**დალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



ჩვენი მილოცვა



## შოთა შარაშენიძე - 90

**ბატონო შოთა, დიდ სიამოვნებას მანიჭებს იმის შესაძლებლობა, რომ თქვენ, ჩვენი თაობის ღირსეულ წარმომადგენელს, მესხეთის დამსახურებულ, სახალხო მასწავლებელს, მოგილოცოთ ღირსეულად განვლილი ცხოვრების გზა. ამ გზაზე ისეთი შინაგანი შემართება და დუღილია, რომ თქვენ აუცილებლად საუკუნესაც ჩამოიტოვებთ.**

**არასოდეს არ დამავიწყდება თქვენი ადამიანური ურთიერთობა და ის უანგარო დახმარება, რასაც წლების მანძილზე უწევდით ჩვენი უნივერსიტეტის კოლექტივს, სტუდენტებს, პროფესორებს.**

**დასასრულ, მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ სახელოვანი იუბილე და დაგილოცოთ თქვენი სასიქადულო შთამომავლობა!**

**მრავალჟამიერ!**

პატივისცემით
**ამირან მექვაბიშვილი,**
თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, საზოგადოება „მესხეთი-2001"-ის პრეზიდენტი
ქ. თბილისი. ნოემბერი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77;
599 32-85-76.

ანეკდოტები

— მოგეწონა სადილი? — ეკითხება გოგო ბიჭს.

— კი, გემრიელად მოგიმზადებია!

— კარგია, მაშინ თუ ჩაირბენ და შოკოლადს ამომიტან, მოწამვლის საწინააღმდეგო წამალს დაგალევინებ!

* * *

მენდელეევს არაყი რომ არ გამოეგონა, თავისი ცნობილი ცხრილი არ მოელანდებოდა!



* * *

ივან ივანოვის განცხადებიდან: გთხოვთ, დამრთოთ სიტუაციურ-ანალიტიკური, სპორტულ-გასართობი, სიტუაციურ-კულტურული, სავაჭრო-საქმიანი, სასწავლო-საქველმოქმედო არაკომერციული ცენტრის შექმნის უფლება.

— უფრო მოკლედ ვერ გვეტყვით სათქმელს?

— გთხოვთ დამრთოთ ლუდის ჯიხურის გახსნის ნება.

* * *

— რატომ არის თქვენი მანქანა ასე აქოთებული?

— აბა, როგორ გინდათ! 120 ცხენს ეხუმრებით?

* * *

ფირმის თანამშრომლები ყოველდღიურად საღამოს ათ საათამდე თავაუღებლად მუშაობენ, ერთი ქალი კი ზუსტად ექვს საათზე ამთავრებს მუშაობას და მიდის. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე. ბოლოს ერთი მუშაკი გაბრაზებული ეკითხება შეფს:

— რატომ უნდა ვისხდეთ აქ ყველანი ათ საათამდე, ის ქალბატონი კი მუდამდღე ექვს საათზე რად უნდა ამთავრებდეს მუშაობას?

— ის ხომ შვებულებაშია!

განცხადება

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.

ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.

ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24